გაზეთი ზევრიას, „ვერსიას" ერთი

# ვერსია

№87 (843) 30 აგვისტო - 1 სექტემბერი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

# მხოლოდ 40 თეთრი

## საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ივანიშვილი საცხოვრებლად პარიზში გადავა?!

გვ. 5



## პრემიერის ღია წერილი სალომე ზურაბიშვილს

გვ. 2

## ვის მისცა პატრიარქმა პრეზიდენტობის კანდიდატობაზე კურთხევა

გვ. 4

ნესტან კირთაძე: „გადაეცით ნინო ბურჯანაძეს, რომ ფხანა ქეცმა იცის!"

## ლევან ბერძენიშვილის პოლიტიკური აღსარება



შეიძან თუ არა რესპუბლიკელები კოალიციას, რატომ ურჩევნია ბაქრაძე ბურჯანაძეს და რისთვის უხდის მადლობას მარგველაშვილს

გვ. 3

## კოპაბიტაცია თბილისის საკრებულოში — „ოცნება" ნაციონალებისთვის 2 „ჯიპსა" და 6 „სედანს" ყიდულობს?!

8 მანქანის შესაძენად დედაქალაქის ბიუჯეტიდან 300 000 ლარია გამოყოფილი

გვ. 6



## ოთხკუთხედი ბურგერები, „ტრუჩილოს" ყავა... — „ვისოლ ჯგუფი" „ვენდის" ამერიკულ რესტორანს ხსნის




რუსთაველზე მდებარე რესტორანში 80 ადამიანი დასაქმდება

გვ. 10

## პირობით მსჯავრდებულთა უმეტესობა პრეზიდენტის შეწყალებაზე უარს ამბობს

გვ. 8

## რა კავშირი აქვს საინფორმაციო პორტალ „თავისუფალ ზონას" ნაციონალებსა და მოსკოვთან

თავისუფალი ზონა

გვ. 2

## „მე-9 არხი" ივანიშვილის შემოწირულობებს მალავდა?




პირველი ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, „რუსთავი 2"-ის შემოსავალი 31%-ით გაიზარდა, „იმედის" კი 29%-ით შემცირდა

გვ. 7

## საყოველთაო ჯანდაცვის მწარე რეალობა — ექიმები პაციენტებს დასცინიან?!

გვ. 9



# ბიძინა ივანიშვილის ღია წერილი სალომე ზურაბიშვილს



საქართველოს პრემიერ-მინისტრი სალომე ზურაბიშვილის მიმართვას ღია წერილით პასუხობს. ბიძინა ივანიშვილი 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში სალომე ზურაბიშვილის მონაწილეობასთან დაკავშირებით საკუთარ დამოკიდებულებაზე საუბრობს და აღნიშნავს, რომ დემოკრატიის უპრეცედენტოდ მაღალი სტანდარტებით, მოქმედი კანონმდებლობის დაცვით არჩევნების ჩატარება უმნიშვნელოვანესია ქვეყნისთვის და დიდი გამოწვევაა ხელისუფლებისთვის.

**„კონკურენტულობა არჩევნების დემოკრატიულობის ერთ-ერთი წინაპირობაა და ამიტომ დაინტერესებულნი ვართ, რაც შეიძლება მეტი ღირსეული კანდიდატი ვიხილოთ საპრეზიდენტო ბრძოლაში ჩაბმული. თქვენ, ჩემი ღრმა რწმენით, სწორედ ერთ-ერთი ასეთი ღირსეული პიროვნება ბრძანდებით და პირადად მე, მოხარული ვიქნებოდი, თუ თქვენს გვარსაც ვიხილავდი საარჩევნო ბიულეტენში. ამასთანავე, ჩვენ ერთად ვიბრძოდით ამ ქვეყანაში კანონიერების დასამკვიდრებლად და ერთი კაცის დიქტატის, ერთი კაცის ნების მიხედვით ავტორიტარული მმართველობის დასამთავრებლად. თქვენ, როგორც ამ ქვეყნის გამორჩეულ მოქალაქეს, როგორც საფრანგეთის ემიგრაციის ღირსეულ შთამომავალს, ევროპული კულტურისა და დემოკრატიული ღირებულებების წიაღში აღზრდილს, კარგად მოგეხსენებათ, რომ ერთი პირი, რაგინდ თანამდებობისა და ავტორიტეტისა უნდა იყოს, ვერ უნდა წყვეტდეს ვინმესთვის, თუნდაც განსაკუთრებით პატივსაცემი პიროვნებისთვის, გამონაკლისის დაშვებას – ამ საკითხს ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში კანონი და კონსტიტუცია განსაზღვრავს. ასევე დაუშვებელია, მთავრობის ან პარლამენტის მიერ სასამართლოს ან საარჩევნო კომისიების კომპეტენციაში შემავალ საკითხზე გადაწყვეტილების მიღება.**

**მესმის თქვენი შეშფოთება იმის გამო, რომ გავრცელებული არაოფიციალური შეფასებებისა და ცესკო-სა და სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, არსებობს სამართლებრივი ხასიათის კითხვები არჩევნებში თქვენი მონაწილეობის შესაძლებლობის თაობაზე, მაგრამ მე ვერ და არ ვიქნები სამართლის უმაღლესი ინსტანცია ჩვენს სახელმწიფოში. ეს პირობა მივეცი ჩვენს ხალხს და მას არავითარ შემთხვევაში არ დავარღვევ.**

**ამიტომ ვაკეთებ მხოლოდ იმას, რაც შემიძლია: კიდევ ერთხელ მივმართავ და მოვუწოდებ ყველა სახელმწიფო ორგანოსა და თანამდებობის პირს, რათა მოქალაქეების, მათ შორის თქვენი პოლიტიკური უფლებების თაობაზე გადაწყვეტილებების მიღების დროს, იხელმძღვანელონ მხოლოდ და მხოლოდ კონსტიტუციით, კანონებით და საკუთარი შინაგანი რწმენით.**

**თქვენ კი გირჩევთ, ჩვეული შემართებითა და პრინციპულობით შეეცადოთ სათანადო სახელმწიფო დაწესებულებებში თქვენი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას. მერწმუნეთ, დღევანდელ საქართველოში აღარავინ დაიჩაგრება, თუკი სიმართლე და კონსტიტუცია მის მხარეს აღმოჩნდება“,** — აღნიშნავს პრემიერ-მინისტრი.

შეგახსენებთ: სალომე ზურაბიშვილმა ბიძინა ივანიშვილს ღია წერილით 26 აგვისტოს მიმართა და მასთან შეხვედრის სურვილი გამოთქვა.

# რა კავშირი აქვს საინფორმაციო პორტალ „თავისუფალ ზონას“ ნაციონალებსა და მოსკოვთან

რუსუდან შელია
557-100-768

**არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფალმა ზონამ“ ახლახან ამავე სახელწოდების საინფორმაციო პორტალიც შექმნა, რომელიც განსაკუთრებული მონდომებითა და საეჭვო ოპერატიულობით კრიმინალურ შემთხვევებს აშუქებს. ეს ის არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც პირველად ნაციონალური მოძრაობის მიერ ორგანიზებულ 19 აპრილის აქციაზე გამოჩნდა. საზოგადოებისთვის ცნობილი კი, ანტიპუტინური გამოსვლებით გახდა. საინფორმაციო პორტალის მისამართით კითხვისნიშნები მალევე გაჩნდა, კერძოდ: როგორ ახერხებენ „თავისუფალი ზონის“ თანამშრომლები სამართალდამცავებზე ადრე კრიმინალურ შემთხვევებთან დაკავშირებით ინფორმაციის მოპოვებას, გადაღებასა და საიტზე ატვირთვას ან რატომ იქცა სწორედ აღნიშნული ვებგვერდი ნაციონალური მოძრაობის წევრთა უმრავლესობისთვის ინფორმაციის ძირითადი წყაროდ, ვინ აფინანსებს მათ და ა.შ.**

ოფიციალური ინფორმაციით, „თავისუფალ ზონას“ კონფლიქტოლოგი, ექსპერტი და პუბლიცისტი, ბათუმის მერის მოვალეობის შემსრულებელი გელა ვასაძე ხელმძღვანელობს, რომელზეც პრესაში არაერთხელ დაიწერა, რომ მისი ვაჟი რუსეთის მოქალაქეა, მეუღლე კი ალიონა იმედაშვილია, რომელსაც ძმასთან ერთად «РИА Новости»-ს წარმომადგენლობა აქვს პრივატიზებული. საიტის დამფუძნებელთა ჩამონათვალში საზოგადოებისთვის უცნობ კიდევ რამდენიმე სახელსა და გვარს ამოიკითხავთ, თუმცა თუ სიას ბოლომდე ჩაუყვებით, მათ შორის ნაციონალური მოძრაობის წევრი, ყოფილი დეპუტატი კობა ხაბაზიც შეგხვდებათ, რომელიც რუსთაველის გამზირზე, ნაციონალური მოძრაობის აქციაზეც აქტიურად ურიგებდა ახალგაზრდებს თეთრ მაისურებს იასამნისფერი წარწერით — „თავისუფალი ზონა“, თუმცა მაშინ „ვერსიასთან“ საუბრისას აცხადებდა, რომ თავად ამ ორგანიზაციასთან კავშირი არ ჰქონდა.

„თავისუფალი ზონის“ ვებგვერდის დათვალიერებისას შემდეგ სიტყვებს ამოიკითხავთ: **„ჩვენ, თავისუფალი ნების ადამიანებმა, რომლებსაც უნდათ თავის – უფლება, შევქმენით თავისუფალი ზონა. ჩვენი მიზანია – ვიყოთ თავისუფალი პიროვნებები თავისუფალ საზოგადოებაში — თავისუფალ საქართველოში“.**

როგორ ახერხებენ ორგანიზაციის წევრები თავისუფალ და ყოველგვარი პოლიტიკური მისწრაფებების გარეშე მუშაობას მაშინ, როცა ორგანიზაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი ნაციონალია?

**კობა ხაბაზი:** — ესაა გაერთიანება, რომელიც ერთ პოლიტიკურ ძალას ეკუთვნის. „თავისუფალ ზონაში“ ერთიანდებიან ადამიანები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ქვეყანა განვითარების სწორ გზას არ ადგას. იგულისხმება, რუსეთის მიმართულებით არჩეული მავნებლური საგარეო ორიენტაცია. ასე რომ, ამ ორგანიზაციაში არაერთი ჩემი თანამოაზრე ვიპოვე და მათთან ერთად სიამოვნებით ვმუშაობ.

— **„თავისუფალ ზონაში“, ძირითადად, რისი გაკეთება გიწევთ?**

— „თავისუფალი ზონა“ იმითაც გამოირჩევა, რომ არავინაა თანამშრომლების უფროსი, პირიქით, საკუთარი ინიციატივით მუშაობის უფლება ყველას აქვს. ზოგი ქუჩებში დადის და ვიდეოებს იღებს, ზოგიც კრეატიულ ღონისძიებებს აწყობს. წინააღმდეგობრივ მოძრაობაში მოღვაწეობის საკმაოდ დიდი გამოცდილება მაქვს, ამიტომაც ორგანიზაციის მიერ ორგანიზებულ ყველა ღონისძიებაში ვმონაწილეობ. ყველაფერში ვეხმარები ამ ადამიანებს.

— **თქვენი ყოფნა „თავისუფალ ზონაში“ ორგანიზაციის პოლიტიკურ მიზნებს არ ამჟღავნებს?**

— ვაღიარებ, რომ ამ ხელისუფლების კურსი არ მომწონს და რუსეთისკენ სწრაფვას ყოველთვის შევეწინააღმდეგები. დიახ, იმის აღიარებაც არ გვიჭირს, რომ ნაციონალური მოძრაობის მიერ არჩეული კურსი ჩემთვის და „თავისუფალ ზონაში“ მომუშავე დანარჩენი ადამიანებისთვის ბევრად მისაღებია. რა თქმა უნდა, ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერი ვარ და სადაც ვიქნები, ყველგან ამ პარტიის მხარდასაჭერად ვიმუშავებ!

— **ოპერატიულად მუშაობას როგორ ახერხებთ, კრიმინალური შემთხვევის ადგილზე პირველები როგორ აღმოჩნდებით ხოლმე?**

— „თავისუფალ ზონაში“ ცხელი ხაზი გავხსენით, რომელიც საზოგადოებაში საკმაოდ აქტიურად გავაშუქეთ.

— **თუ ეს მართლაც ცხელი ხაზის დამსახურებაა, მოსახლეობა თქვენ რომ გირეკავთ და არა სამართალდამცავებს, ისიც საინტერესოა, ორგანიზაციის დაფინანსების წყაროც ნაციონალური მოძრაობა ხომ არაა?**

— ჩვენ ბევრნი ვართ, ნათესავები და ახლობლებიც ბევრი გვყავს, რომელთა საშუალებით ინფორმაციას პირველები სწორედ ჩვენ ვიგებთ. „საქართველოს ბანკის“ დაყაჩაღების დროსაც ერთ-ერთი პირველი, შემთხვევის ადგილზე „თავისუფალი ზონის“ წარმომადგენელი მივიდა, რადგან ვაშლიჯვარში ჩვენი ნათესავი ცხოვრობს. საღამოსაც საკმაოდ ბევრს ვმუშაობთ და დავდივართ.

რაც შეეხება დაფინანსებას, ორგანიზაციის წევრები თავად ვდებთ ფულს, რომ „თავისუფალმა ზონამ“ არსებობა გააგრძელოს. პირადად მე, ჩემი შესაძლებლობების მაქსიმუმს ვხარჯავ.

თავისუფალი ზონა

## ვერსიანიუსი

# როგორ იმოქმედებს საქართველოზე აშშ-ს შესაძლო შეტევა სირიაზე



**„აშშ-ს მიერ სირიის დაბომბვა საქართველო-რუსეთის ურთიერთობაზე უარყოფითად იმოქმედებს“,** — მიიჩნევს პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე.

**„ჯერ არ არის საბოლოოდ გადაწყვეტილი, დაარტყამს თუ არა აშშ სირიას. დიდი ბრიტანეთის გარეშე ამ გადაწყვეტილებას აშშ არ მიიღებს და თუ მაინც გადაწყვეტს ომს, პირდაპირი შედეგი საქართველოზე, ალბათ, არ აისახება. თუ ვივარაუდებთ, რომ აშშ დაარტყამს სირიას, ეს დაძაბავს აშშ-რუსეთის ურთიერთობებს, რაც თავის მხრივ, იმოქმედებს საქართველო-რუსეთის ურთიერთობებზე, რომელიც ისედაც ჭრაჭუნებს“,** — განაცხადა სოსო ცინცაძემ.

პოლიტოლოგი კატეგორიულად გამორიცხავს მოარულ ხმას, თითქოს აშშ ადრეც ემზადებოდა სირიასთან ომისთვის და საქართველოს ამერიკელი ჯარისკაცებისთვის ერთგვარად „ჰოსპიტლის“ როლი უნდა ეკისრა.

**„ეს გამორიცხულია, ჯერ ერთი, თუ აშშ-მ გადაწყვიტა, დაარტყას სირიას, ეს დარტყმები იქნება მხოლოდ საჰაერო, სახმელეთო ჯარი არ ჩაერთვება. სამხედრო ოპერაცია არ ითვალისწინებს სახმელეთო ოპერაციას, ჯარის გადასხმას და ბრძოლას. ლიბიის მსგავსად განვითარდება მოვლენები — აშშ დაარტყამს სირიის სამხედრო ორგანიზაციებს, გენერალურ შტაბს, ოპერატიულ მმართველობას, ჰაერსაწინააღმდეგო ობიექტებს, რათა არ მოხდეს მათი გამოყენება. ასეც რომ მოხდეს, ვინ ანდობს ქართველ ექიმებს ამერიკელ ჯარისკაცებს?! — ნემსსაც კი არ გააკეთებინებენ. ჩვენთან რომ მედიცინა და სამედიცინო მომსახურებაა — აქ გამოუშვებენ ამერიკელ ჯარისკაცებს, ჩვენს ყასბებთან?! ეს რაღაც ბოდვაა. ნაციონალების იდეა საველე ჰოსპიტლები მოეწყოთ საქართველოში, საღ აზრსაა მოკლებული. ამერიკელებს ძალიან კარგი სამედიცინო დაწესებულება აქვთ გერმანიაში, სადაც ავღანეთში დაჭრილი ქართველი ჯარისკაცები მკურნალობენ“,** — განაცხადა სოსო ცინცაძემ.

*„ტიმერი“*

# ლევან ბერძენიშვილის პოლიტიკური აღსარება

## შიშობენ თუ არა რესპუბლიკელები კოალიციას, რატომ ურჩევნია ბაქრაძე ბურჯანაძეს და რისთვის უხდის მადლობას მარგველაშვილს

ნინო კომახიძე
599-95-33-16



**„სააკაშვილი ზებრა არ არის, მაგრამ არც გონიერი ადამიანია, ბურჯანაძე და ბაქრაძე ოჯახში აღზრდილი ხალხია, თუმცა ორივე პარლამენტის ცუდი თავმჯდომარე იყო, რესპუბლიკური პარტია კი ნაციონალებს, მინიმუმ, ფორუმების გამოკითხვებში მაინც უსწრებს“, — ამბობს რესპუბლიკელი ლევან ბერძენიშვილი, რომელსაც რეალობის შეგრძნება არ დაუკარგავს. „რესპუბლიკელების“ გარშემო დაგროვილ ბრალდებებს დეპუტატი ლევან ბერძენიშვილი პასუხობს.**

— მიხეილ სააკაშვილმა თავის წარმოდგენაში ისეთი ქვეყანა ააშენა, რომელიც მისი არყოფნის შემთხვევაში, დაიქცევა და დაინგრევა. სხვათა შორის, სააკაშვილი პირველი არაა, ვისაც ასეთი წარმოდგენა აქვს — დიახ, სააკაშვილი ზებრა არ არის, მაგრამ არც გონიერი ადამიანია. ის გაცილებით უკეთეს ფორმაში იყო ივანიშვილის გამოჩენამდე, მაგრამ ახლა, როგორც ჩანს, საკუთარ თავზე კონტროლი დაკარგა. ეს იმ ადამიანებს ემართებათ, ვინც ხელისუფლებიდან მიდიან, თუმცა სააკაშვილის შემთხვევაში, სამედიცინო ჩარევაც საჭიროა.

**— წასვლამდე სააკაშვილისგან რამე არაორდინალურს ხომ არ ელით? ისე, ამბობენ, ზურაბ ხარატიშვილი ცესკო-ს თავმჯდომარეობიდან სააკაშვილის მითითებით გადადგა, რადგან ცესკო-ს პარალიზება მოხდეს და 27 ოქტომბრის არჩევნები არალეგიტიმურად გამოცხადდესო...**

— შეიძლება, მართლაც რამეს გეგმავს, მაგრამ ვიცი, რომ არაფერი გამოუვა. სააკაშვილმა კი არა, ქვეყანას ალა მაჰმად ხანმა ვერაფერი დააკლო. რაც შეეხება ზურაბ ხარატიშვილს, ის კომიკური პერსონაჟი აღმოჩნდა — ცესკო-ს თავმჯდომარე რომ იყო, კიდევ არა უშავდა, მაგრამ თუ საპრეზიდენტო კანდიდატი ისეთ მძლავრ პარტიებთან ერთად იქნება, როგორებიც ედპ და ევროპელი დემოკრატები არიან, მაშინ უკვე ზღვარს სცდება. ხარატიშვილმა 0,1 %-იანი კანდიდატობა არჩია ცესკო-ს თავმჯდომარეობას. რა თქმა უნდა, ეს სააკაშვილის ბრძანებით არ მომხდარა, უბრალოდ, მას ისეთი რამ დაავალეს, რის გაკეთებასაც სხვა ყველაფერი ერჩივნა — ამ არჩევნების სწორედაც არალეგიტიმურად ცნობა მოსთხოვეს! ამას ყველაფერი არჩია და გაითამაშა, ვითომ პოლიტიკური ამბიციები ჰქონდა, არადა, რამდენადაც ვიცნობ, მსგავსი ამბიციები არ აქვს. თუ, რა თქმა უნდა, ამას ვანო მერაბიშვილი არ დაავალებს.

**— ვანო მერაბიშვილი ხარატიშვილის უახლოესი მეგობარი ყოფილა...**

— დიახ, ბატონი ხარატიშვილი მერაბიშვილის კაცია. მეგობარი ცოტა ხმამაღალი სიტყვაა, თუმცა მათი ურთიერთობის სახეს არ ვიცნობ. მეგობარია თუ მონა, ზუსტად არ ვიცი, მაგრამ ვიცი, რომ ვანოს კაცია.

**— სხვათა შორის, კანდიდატების რიცხვი ამ არჩევნებზე ისედაც უჩვეულოდ დიდია, მათ შორისაა თქვენი განაყარი კობა დავითაშვილი. ძირითადი საპრეზიდენტო სამეული კი ასეთია — მარგველაშვილი, ბურჯანაძე, ბაქრაძე. ვის შანსებს როგორ აფასებთ?**

— კანდიდატების რიცხვი უჩვეულოდ დიდი იმიტომაა, რომ საქართველოში უჩვეულოდ ბევრ ადამიანს მიაჩნია თავი პრეზიდენტად — ამაზე კობაც შეიძლება ფიქრობდეს, ბურჯანაძეც, ლევან ბერძენიშვილიც, თქვენც და თქვენი შვილებიც. ჩვენ ისეთი არაადეკვატური ხელისუფლება გვყავდა, გელა სალუაშვილისა და ბატონი გორგიჯანიძის სურვილი აღარც მაკვირვებს. საბოლოო ჯამში, ალბათ, 7-8 კანდიდატი დაგვრჩება. ფავორიტი კანდიდატების თქვენი ჩამონათვალიც უცნაურია — ბურჯანაძე პირველ რიგში ახსენეთ, მე კი ნამდვილად ვიცი, რომ ჯერ ისეთი გამოკვლევა, სადაც მარგველაშვილი 5-ჯერ მაინც არ უსწრებს ბურჯანაძეს, არ ჩატარებულა. აქ პრესის გამოკითხვებზე არაა საუბარი, ვგულისხმობ პროფესიონალურ კვლევებს. ეს კვლევები სხვაა და პარტიული აქტივისტების მიერ სერვერების დაუფლება — სხვა. თუ ასეა, რესპუბლიკურ პარტიას, ფორუმების მიხედვით, ყოველთვის ნაციონალურ მოძრაობაზე მეტი რეიტინგი ჰქონდა, მაგრამ რეალურ ცხოვრებაში ასე ნამდვილად არ იყო.

**— ნამდვილ გამოკითხვას ზურაბ ბიგვავას პარტიულ კვლევას ეძახით?**

— თუნდაც ბიგვავას, ენდიაის, აირაის კვლევებს, თორემ საგაზეთო გამოკითხვებს სულ მე ვიგებ. ასეთი გამოკითხვა – ვინ არის ყველაზე განათლებული პარლამენტარი, 3-ჯერ ჩატარდა და სამივეჯერ მოვიგე. თავის გამოკითხვებს ბურჯანაძეც ატარებს, მაგრამ შედეგებს არ გვეუბნება. ეტყობა, შედეგები ჯერ მისთვის სასარგებლო არ არის. მოკლედ, ფავორიტი ერთია — გიორგი მარგველაშვილი, ბურჯანაძე და ბაქრაძე კი რეიტინგებით ერთმანეთთან ახლოს არიან; ასევე ახლოსაა შალვა ნათელაშვილიც და ალბათ, მათ მალე კობა დავითაშვილიც დაეწევა. ჩემი აზრით, მეორე ტური ნაკლებად სავარაუდოა, თუმცა წინ ჯერ კიდევ ორი თვეა და ღმერთები არ ვართ, არაფერი შეგვეშალოს — საქმე შეიძლება, მეორე ტურისკენაც წავიდეს, მაგრამ დღევანდელი ვითარებით ამის შანსი 5%-იც არ არის.

**— 5 %-იანი ალბათობით, მეორე ტურში მარგველაშვილის წინააღმდეგ ბურჯანაძეს ხედავთ თუ ბაქრაძეს ?**

— ჩემთვის სულ ერთია. მთავარია, არჩევნებში გავიმარჯვოთ და მეორე ადგილზე ვინ გავა, ჩვენი პრობლემა არ არის. სხვათა შორის, იმასაც მოგვაწერენ, თითქოს ძალიან ვღელავთ მეორე ადგილზე გასულის ვინაობაზე.

**— როგორც ამბობენ, მეორე ადგილზე დავით ბაქრაძის, როგორც მთავარი ოპოზიციური ძალის დაფიქსირება გსურთ.**

— ბაქრაძეზე არ ამომდის მზე და მთვარე. მეორე ადგილზე კი კობა დავითაშვილის გასვლა მირჩევნია, ის უფრო მესიმპათიურება.

**— ბურჯანაძეს ბაქრაძე რომ გირჩევნიათ, ეს რესპუბლიკელებს არაერთხელ გითქვამთ.**

— ასეა იმიტომ, რომ ბაქრაძე რუსების პოლიტიკას არ ატარებს. ამაშია საქმე, თორემ პიროვნულად, ბურჯანაძეც არ არის ცუდი. ბაქრაძეც თავაზიანი ახალგაზრდა კაცია, უბრალოდ, ძალიან დიდხანს იყო სააკაშვილსა და ნაცმოძრაობის აღვირახსნილ ლიდერებთან. ისე, ორივე პარლამენტის თავმჯდომარე იყო და არც ერთი ვარგოდა. კი ბატონო, პიროვნულად, ერთიცა და მეორეც ოჯახში გაზრდილი ხალხია და უკეთესი ენა აქვთ, ვიდრე — შალვა ნათელაშვილს.

**— არჩევნების მერე უმრავლესობის დაშლას ბევრი ვარაუდობს. ამ შემთხვევაში, რესპუბლიკელები რას აპირებთ — თურმე, რეგიონულ დონეზე ძლიერდებით, საკრებულოების თავმჯდომარეებსა და გამგებლებს ხსნით და ა.შ?**

— ჩვენ ჩვეულებრივი პარტია ვართ და რეგიონულ დონეზეც ისე ვმოქმედებთ, როგორც უნდა ვმოქმედებდეთ. ჩვენი წევრების რაოდენობა ბოლო დროს გაიზარდა, მაგრამ თუკი ვინმე იტყვის, რომ კანონი დავარღვიეთ, ძალიან გამიკვირდება.

**— ერთ მაგალითს მოგიყვანთ — რესპუბლიკელი სოსო მუკბანიანი ლენტეხში „ოცნების“ მიერ დანიშნული გამგებლის იმპიჩმენტის საკითხს აყენებს.**

— ამას ვერ დაგიდასტურებთ. საუბარია ყოფილ ნაციონალზე, რომელიც ახლა ვილაცას და რაღაცასაა შეფარებული. დიახ, ეს ვითარება ნამდვილად არ მოგვწონს. რაც შეეხება იმას, რომ კოალიცია აუცილებლად დაიშლება, ჩემი აზრით, პარლამენტის ეს შემადგენლობა იმდენ ხანს იქნება, რამდენი ხნითაც აგვირჩიეს. ჩვენ შევინარჩუნებთ კოალიციას!

**— ივანიშვილის წასვლის შემდეგაც?**

— ივანიშვილი მთვარეზე არ მიდის — არც პოლიტიკიდან მიდის, მიდის თანამდებობიდან და გადადის სამოქალაქო სექტორში. სანამ ივანიშვილი საქართველოში იქნება, პოლიტიკაზე გავლენაც ექნება.

**— ანუ ჩრდილოვანი ლიდერი გახდება და ეს ნორმალურია?**

— ეს არ მითქვამს — მას გავლენა ექნება „ოცნებაზე“, როგორც სააკაშვილს „ნაციონალებზე“.

**კოალიციის დაშლა ჩვენს ინტერესში არ შედის. ჩვენ უმადური ხალხი არ ვართ და არასოდეს დაგვავიწყდება, რომ ხელისუფლებაში მოსვლაში ივანიშვილი დაგვეხმარა. თუ თავად „ოცნება“ იტყვის, რომ უნდა, მეგობრებისგან თავი გაითავისუფლოს, რა პრობლემაა. უბრალოდ, არ მესმის, ეს რატომ უნდა მოხდეს მხოლოდ იმიტომ, რომ „რესპუბლიკელები“ ერთი-ორ დეპუტატს ნერვებს უშლის? მერე რა მოხდა, იცით, რამდენი რამე მიშლის ნერვებს, მაგრამ ვითმენ. ახლა რომ გითხრათ, კოალიცია ანგელოზებით სავსეაო, მართალი არ ვიქნები. კარგად ვატყობ, კოალიციაში ყველანაირი ხალხია — აკადემიკოსებიდან დაწყებული, წერა-კითხვის უცოდინრებით დასრულებული, მაგრამ ერთად ვართ და ერთმანეთი უნდა ავიტანოთ.**

**— მერე, ეს ეფექტურად მუშაობაში ხელს არ გიშლით?**

— არა, რადგან მსოფლიოს ნებისმიერ პარლამენტში არიან როგორც გენიოსები, ისე — იდიოტები. ასეთი ერთი-ორი ვიცი, თქვენ, შეიძლება, — მეტი. შეიძლება, მათ რიცხვში მეც ჩამთვალოთ, მაგრამ ეგ არაა პრობლემა. ჩემი აზრით, როგორც საპარლამენტო ოპოზიციაში, ისე უმრავლესობაში, საკმარისი პოტენციალია, რომ ნორმალური კანონშემოქმედებითი მუშაობა ჩატარდეს. ნაციონალებთან თანამშრომლობა სადაც შეიძლებოდა, ჩვენმა პარლამენტმა მათთანაც კი ითანამშრომლა. ყველა ვეტო დავძლიეთ — ეგეც გასაგებია, რომ ნაციონალების გულის გასახეთქად, რადგან უნდოდათ, ან რესპუბლიკელებს არ მიეცათ ხმა, ან ალასანიას. ჩვენი პრესის მიხედვით რომ გვემსჯელა, ვერც ერთ ვეტოს ვერ დავძლევდით, რადგან ხმები უკანასკნელ კაცამდე გვჭირდება, არათუ უკანასკნელ ფრაქციამდე. კოალიცია კი სიმტკიცეს აჩვენებს, მეტიც, როცა კობა დავითაშვილი ცალკე გავიდა, თქვა, ვეტოებში ჩემი ხმის იმედი გქონდეთო. ანუ კოალიციას სერიოზული პრობლემა არ აქვს, მაგრამ გამოვალ პარლამენტიდან, წავიკითხავ გაზეთს, მოვუსმენ ტელევიზიას და მეჩვენება, რომ ბევრი პრობლემაა. მერე, შევალ პარლამენტის დარბაზში და პრობლემა არ არის.

**— ეს მედიის ბრალია თუ თქვენი კოალიციის?**

— არა, პრესა კარგად მუშაობს, უბრალოდ, პარლამენტსგარეთ დარჩენილია აქტიური ხალხი, ვინც ამ იდეებს ამუშავებს. აი, მიხეილ სააკაშვილი უზარმაზარი საერთაშორისო ავტორიტეტის მიუხედავად, ახლა საქართველოს პოლიტიკაში ნულია. ერთადერთი, რაც შეუძლია, ცილისწამებაა, რომ თურმე პუტინმა 2 მილიონი მისცა ივანიშვილს და ამიტომ მოვუგეთ არჩევნები. მილიონები სააკაშვილისკენ უნდა მოიკითხოთ, ყველა სამუშაო ადგილი მათი იყო — ყველგან მარტო ნაციონალები და მათი ხალხი მუშაობდა. არ დამავიწყდება: მე, მაღალი კვალიფიკაციის ერთ-ერთ სპეციალისტს საქართველოში, სააკაშვილის ბრძანებით, წლების განმავლობაში სამუშაო არ მომცეს. ვიდრე ჰარვარდსა და სტენფორდში არ წავიკითხე ლექციები, ვერც ერთმა უნივერსიტეტმა ვერ გაბედა ჩემთვის საათების მოცემა და იცით, რას მეუბნებოდნენ, ხომ გესმით, რატომაც, ბატონო ლევანო. არ მესმოდა... ამიტომ დავით ბაქრაძის გულშემატკივრად რომ მხატავენ, არ დაიჯეროთ ეგ ამბავი. სწორედ ბაქრაძისა და სააკაშვილის ხელისუფლებაში გამამწარეს და 5 წლიდან 3 აშშ-ში გამატარებინეს. აბა, მკითხეთ, რა ცუდი იყო ეს 3 წელი. სტენფორდის უნივერსიტეტმა საათები რომ მომცა, მაშინ მომმართეს საქართველოდან. ჰოდა, მადლობელი ვარ კახა შენგელიასი და გიორგი მარგველაშვილის, რომელმაც არ იცოდა, რომ უმუშევარი ვიყავი, გაბედა და მომცა საათები. ჩემი მაგალითი ერთია და ასეთი კიდევ ბევრი იყო, თუმცა ხომ ხედავთ, ჩვენ არავის მივადექით და ხალხი სამსახურიდან პოლიტიკური ნიშნით არ გაგვიყრია, რის გამოც ბევრი ჩვენი მომხრე ნაწყენია.

## ვერსიანიუსი

### ილია II: „პრობლემები, რომელიც დგას ქვეყნის წინაშე, ღვთის მადლით, განიკურნება“



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპოსკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის განცხადებით, **„როცა ვფიქრობთ, თუ რა გვაცხოვნებს ჩვენ, ეს არის მადლიერება“.**

**„ადამიანი მადლიერი უნდა იყოს ღვთისა, მადლიერი უნდა იყოს ადამიანისა. სამადლობელ პარაკლისში არის სახარება, სადაც მაცხოვარს მიეგებნენ კეთროვანნი. თქვენ იცით, კეთრი ისეთი საშინელი და მძიმე ავადმყოფობაა, რომელიც თითქმის არ იკურნება. მათ შორიდან შეჰღაღადეს: „იესო, ძეო დავითისო, შეგვიწყალენ ჩვენ“. აი, ჩვენც დღეს შევღაღადებთ უფალს: „იესო, ძეო დავითისაო, გადაარჩინე საქართველო და მთელი ქვეყანა, მთელი მსოფლიო და შეგვიწყალენ ჩვენ“. მაცხოვარი პასუხობს: „წადით და ეჩვენენით მღვდელსა“. მღვდელი თუ დაადასტურებდა, რომ ადამიანი განკურნებულია, მას ჰქონდა უფლება, თავის სახლში ეცხოვრა და ხალხთან ყოფილიყო. როცა წავიდნენ მღვდელთან, განიწმინდა კეთრი მათგან. ერთმა რომ დაინახა, რომ განკურნებულია, გამოიქცა ისევ მაცხოვართან, დავარდა მუხლებზე და მადლობას სწირავდა მას განკურნებისთვის. ეს იყო სამარიტელი. მაცხოვარი სვამს კითხვას, თუ სად იყო დანარჩენი ცხრა განკურნებული. მათ ვერ ნახეს სულიერი ძალა, რომ დაბრუნებულიყვნენ და მადლობა ეთქვათ. მხოლოდ ეს უცხო ტომით, სამარიტელი მივიდა. მაცხოვარი ეუბნება მას: „სარწმუნოებამ შენმან გაცხოვნოს შენ. აი, დღეს, როცა ვხედავთ ადამიანებს განკურნებულს, უნდა იცოდეთ, რომ ეს არის მადლი ღვთისა და სარწმუნოება იმ ადამიანის. დღეს ჩვენ შევთხოვთ უფალს, რომ განკურნოს ჩვენი გონება, ჩვენი გული, ჩვენი სული განწმინდოს. „გული წმინდა დაბადე ჩემთანა ღმერთო და სული წრფელი განმიახლე გვამსა ჩემსა“. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ის პრობლემები, რომელიც დგას დღეს საქართველოს წინაშე, ყველაფერი ღვთის მადლით და ჩვენი, თქვენი ლოცვით განიკურნება და ყოვლაწმინდა ღვთისმშობლის შუამდგომლობით აღდგება და გაბრწყინდება საქართველო“,** — ბრძანა პატრიარქმა.

*„პირველი“*

# ვის მისცა პატრიარქმა პრეზიდენტობის კანდიდატობაზე კურთხევა

ნინო კომახიძე
599-95-33-16

**პრეზიდენტობის კანდიდატად დარეგისტრირების შემდეგ, ყველა მის ერთ ფრაზაზე საუბრობს: „მე უკვე პრეზიდენტი ვარ!“ — განაცხადა პრეზიდენტობის კანდიდატად დარეგისტრირების შემდეგ. ამასთან, „ვერსიასთან“ საუბრისას ამბობს, რომ დაუფინანსებელ საარჩევნო კამპანიაში მხარს უჭერს და ლოცვა-კურთხევით საქართველოს პატრიარქი ეხმარება. პირობას დებს, როგორც კი პრეზიდენტი გავხდები, პარლამენტსა და მინისტრთა კაბინეტს დავითხოვო. მანამდე კი, ქუჩის აქციებს აანონსებს. ვერსიას“ პრეზიდენტობის სახალხო კანდიდატი ნესტან კირთაძე ესაუბრება.**

## ნესტან კირთაძე: „გადაეცით ნინო ბურჯანაძეს, რომ ფხანა ქეცმა იცის!“



**— „მე უკვე პრეზიდენტი ვარ“ — ეს თქვენი ფრაზაა. საიდან ამხელა ამბიცია?**

— ყველას ვურჩევ, მხოლოდ სათაურებს ნუ წაიკითხავენ და მასალის კითხვაც გააგრძელონ. ოფიციალური სტატუსით, მართლა პრეზიდენტი ვარ, ასე დამარეგისტრირა ბრიუსელმა, სადაც წერია — ნესტან კირთაძე ქართულ-აფხაზურ-ოსური საერთაშორისო მოძრაობის პრეზიდენტია.

**— რაც შეეხება საქართველოს პრეზიდენტობას, აქ რამდენად შორს მიდის თქვენი გათვლა იმ ფონზე, როცა რეიტინგის მიხედვით, „ცხელ სამეულში“ არ ხართ?**

— ორი დღის წინ „ოცნებამ“, უფრო კონკრეტულად, ვიღაც ტვინგაცხელებულმა ფარისეველმა პარტიული კვლევები გამოაქვეყნა და პირველ პოლიტიკურ შვიდეულში მეც შემიყვანა. ჩემი გვარის გასწვრივ რამდენი პროცენტი წერია, ჩემთვის ეს პირობითია, მაგრამ ის, რომ სახელისუფლო პოლიტიკური ბლოკი, როგორც დამოუკიდებელ კანდიდატს, გვერდს მაინც ვერ მივლის, უკვე მნიშვნელოვანია. ეს არჩევნები საკმაოდ სახიფათო მოსახვევია ქართულ პოლიტიკურ სივრცეში და პირველ ადგილზე პრეტენზია აქვთ — ბიძინა ივანიშვილის ფავორიტ მარგველაშვილს, რომელიც გახლავთ პოლიტიკაში „კაცი არსაიდან“, უმძიმესი პოლიტიკური წარსულის მქონე დავით ბაქრაძესა და კიდევ უფრო მძიმე წარსულის მქონე ნინო ბურჯანაძეს. თუ საქართველოს მოსახლეობა თავის „ცხელ სამეულად“ ამ პერსონებს მიიჩნევს, მაშინ პრობლემა ამ ადამიანებში კი არა, ქართველ ხალხშია. ამ კანდიდატებმა, როგორც იმერეთში იტყვიან, „კაი ჭამეს, კაი სვეს“ და უმძიმესი დანაშაულების მიუხედავად, მათი ამბიციები და ავანტიურისტული სურვილი არ ცხრება.

**— თუ თქვენს უახლეს პოლიტიკურ წარსულზე ვისაუბრებთ, თქვენი კონკურენტია ყოფილი თანაპარტიელი, შალვა ნათელაშვილი, ექსლეიბორისტ სოსო შატბერაშვილის ახალი პარტია მხარს თქვენ კი არა, ბურჯანაძეს უჭერს, ეს უხერხულობას არ გიქმნით?**

— ჩემი პოლიტიკური წარსული არც შალვა ნათელაშვილია, არც მისი განაყოფები — ფულზე დაწაფებული ადამიანები და არც რომელიმე კონკრეტული პიროვნება. ჩემი პოლიტიკური წარსულია სტუდენტური მოძრაობა, პირველი და მეორე მოწვევის პარლამენტი, სადაც ერთ-ერთი ლიდერი ვიყავი.

**— ვითარებას პრაგმატულად რომ შეხედოთ, თქვენს თავს ამ არჩევნებში რა შანსს აძლევთ?**

— ისიც ვაღიაროთ, რომ გამოკითხვების შედეგებს ის უკვეთავს, ვისაც ფული აქვს, ამიტომ ჩემთან მაინც ნუ ილაპარაკებენ პროცენტებსა და გამოკითხვებზე. განსაკუთრებული კი არ ვარ, უბრალოდ, ამ ხნის განმავლობაში მთელი საქართველო მოვიარე და ვიცი, როგორია ხალხის რეალური განწყობა ბურჯანაძის, ბაქრაძისა და მარგველაშვილის მიმართ. ასე რომ, ყველამ მშვენივრად იცის, ამ შედეგების მაგიური ძალა მისი უდიდებულესობა — ფულია! შემომაქვს სრულიად ახალი კულტურა: როცა იქედნურად წერენ მომავალი პრეზიდენტის უფუნქციობის შესახებ, ყველას ვუჩვენებ, როგორ უნდა თანამშრომლობდეს პრეზიდენტი პრემიერთან და არსებული რეალობა, ხალხის ნამდვილი განწყობა და გასაჭირი მასთან როგორ უნდა მიჰქონდეს. ვატარებდი სპეციალურ პრესკონფერენციებს პრემიერის გასაგონად რეგიონებში, მოსახლეობასთან შეხვედრების შემდეგ, ვაწვდიდი და ვაწვდი მას სპეციალურ შეთავაზებებს, ალტერნატიულ წინადადებებს კონსტიტუციურ, საკანონმდებლო, ეკონომიკურ საკითხებზე. ხოლო ეს ჯერ პრეზიდენტობის არც ერთ კანდიდატს არ გაუკეთებია. მაგალითად, ნინო ბურჯანაძეს კოჰაბიტაციის საწინააღმდეგო განცხადებები აქვს აკვიატებული.

**— ეს მიდგომა პოპულარულია და გულს კოჰაბიტაციის ბევრ მოწინააღმდეგეს ფხანს.**

— ჰოდა, გადაეცით ნინო ბურჯანაძეს, რომ ფხანა ქეცმა იცის და სჯობს, ქართველ ხალხს თავისი საპრეზიდენტო პროგრამა წარუდგინოს. თუ ვინმეს ჰგონია, ბურჯანაძის ფრაზა, მოვაგვარებ ურთიერთობას რუსეთთანო, პროგრამაა, მაშინ მასაც და მასთან დაკავშირებულ ადამიანებსაც ვამცნობ: მოსკოვში, თავრიზის სასახლეში პუტინის ფეხებთან ფართხალი სულაც არ ნიშნავს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის დალაგებას. ეს არ არის პროგრამა, რომელიც 21-ე საუკუნის საქართველომ უნდა მიიღოს. თუ ნინო ვინმეს ჰპირდება, რომ მიშასა და მის თანაგუნდელებს ჭადრებზე ჩამოკიდებს, არც ესაა პროგრამა. ან გიორგი მარგველაშვილს რა პროგრამა აქვს — არ მაინტერესებს მისი ემოციურ-მენტალური პრობლემები, მხოლოდ იმას ვხედავ, რომ არის მცდელობა, საქართველოს დანიშნული პრეზიდენტი ჰყავდეს, მით უმეტეს, პლასტილინი, რომელიც ყველანაირ ფორმას მიიღებს. ერთს ვიტყვი: მათ შეიძლება, 27 ოქტომბერს მიიღონ დანიშნული პრეზიდენტი, მაგრამ 28 ოქტომბერი მარგველაშვილისა და აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის სახარბიელო არ იქნება. წინასწარ მეცოდება მარგველაშვილისთვის ხმის მისაცემად ადმინისტრაციული შოლტებით განდევნილი მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც მანამდე სააკაშვილისთვის ხმის მისაცემად განიდევნებოდა. აქვე მინდა, ჩემი სოლიდარობა დავუდასტურო სალომე ზურაბიშვილს და ყველას შევახსენო — 2009 წლის აქციების დროს, პოლიტიკურ ლიდერთა შორის იგი ყველაზე ღირსეულად გამოიყურებოდა. მას აქციებიდან ფეხი არ მოუცვლია და პიჯაკიც არ შეუცვლია თვეების განმავლობაში. მივმართავ პრემიერსა და პარლამენტის თავმჯდომარეს: თუ ეს საკითხი მოსწრებადია, მისცენ საქართველოს ერთ-ერთ ღირსეულ ქალბატონს საპრეზიდენტო კანდიდატად დარეგისტრირების საშუალება.

**— ამდენი ვისაუბრეთ სხვების პროგრამების არარსებობაზე. ბარემ, ისიც მითხარით, როგორია თქვენი საპრეზიდენტო პროგრამა?**

— პირველი, რასაც გაპრეზიდენტების შემდეგ გავაკეთებ, ამ პარლამენტის დათხოვნა იქნება — იგი წარმომადგენლობით და საკანონმდებლო რანგში აბსოლუტურად უუნაროა და ქართველი ხალხის ინტერესებს არ გამოხატავს. პირველი, რასაც პრემიერ ივანიშვილს ვთავაზობ, ასევე უუნარო და უვარგისი მინისტრთა კაბინეტის დათხოვნაა. ვთავაზობ, შეიქმნას ანტიკრიზისული მთავრობა, სადაც მინისტრების პოსტებს დარგის სპეციალისტები დაიკავებენ. რაღა თქმა უნდა, ვაპირებ, სახელმწიფო პოლიტიკის რანგში ავიყვანო სამშვიდობო ურთიერთობების თემა, რომელსაც უკვე იცნობენ ბრიუსელში, ბერლინში, პარიზსა და მოსკოვში და ეს ერთადერთ ღირსეულ და სწორ გზად მიმაჩნია.

**— რეალურად, რისი იმედი გაქვთ, ქალბატონო ნესტან?**

— კაცმა რომ თქვას, ორი ილიას მოწაფე ვარ — ილია ჭავჭავაძისა და ჩვენი პატრიარქის, ამიტომ ჩემს გამოცდილებას, ინტელექტს, ახალგაზრდა ლიდერების გუნდს, რომელთაც სუფთა წარსული აქვთ, ქვეყნის სწორ გზაზე დადგომასა და ამ გზაზე სიარულს მოვახმარ. გპირდებით, როგორც შევძლებთ, ყველა ტიპის ავანტიურას წინ ისე აღვუდგებით — თუ საჭიროა, ქუჩაშიც დავდგებით და ალბათ, ეს გარდაუვალი რეალობაც იქნება. თუ საჭიროა, ამას სახალხო მოძრაობის და არა პარტიების სახელით გავაკეთებთ! ამ ხელისუფლებას ჩვენი ხალხისგან საკმაოდ სერიოზული გამოწვევა ელის და ეს ყველაფერი ასე რომ არ გაგრძელდება, თავადაც კარგად გრძნობენ!

**— და მოვლენების განვითარების ქუჩაში გადატანა გარდაუვალი რატომაა, ან ამას რა შემთხვევაში ვარაუდობთ?**

— დამიჯერეთ, მოვლენები მართლა გადავა ქუჩაში და თუ, ვთქვათ, დანიშნული პრეზიდენტი უპრობლემოდ გააფორმეს, ეს ინაუგურაციამდეც კია მოსალოდნელი. ხალხს ისევ მოშივდება, შესცივდება, სამუშაო მოუნდება და როცა ამ ყველაფერს დანიშნული პრეზიდენტი ვერ მიართმევს, პრემიერი კი თავის სასახლეში ჩაიკეტება, არაჩვეულებრივ ბუხართან, ან წავა და თავის მილიარდებს წაიღებს, ამას ხალხი პროტესტით უპასუხებს. ხალხი თავად აღადგენს სამართლიანობას, რაც ნინო ბურჯანაძეს სააკაშვილის ჭადრის ხეზე ჩამოკიდება ჰგონია პუტინთან ერთად!

**— საინტერესოა, რას ფიქრობს პატრიარქი თქვენს საპრეზიდენტო კანდიდატობაზე და მისგან კურთხევა გაქვთ?**

— რასაკვირველია, ამ გადაწყვეტილების შესახებ იცის. მისი პოზიციაა, საქართველოში ეროვნული, ილიას გზის გამგრძელებელი ადამიანები იყვნენ... მე მივიღე მისგან ლოცვა-კურთხევა და სწორედ ამ ლოცვა-კურთხევით დავაბიჯებ მთელ საქართველოში სრულიად უფინანსოდ, ბიზნესწრეებისა და სახელმწიფოსგან დაუხმარებლად!

## ვერსიანიუსი



### ბარაკ ობამა: „სირიის ხელისუფლებამ ქიმიური იარაღი გამოიყენა“

აშშ-ს პრეზიდენტის, ბარაკ ობამას განცხადებით, ვაშინგტონი მივიდა დასკვნამდე, რომ დამასკოში მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ქიმიური იარაღის გამოყენების უკან სირიის ხელისუფლება დგას.

მისი თქმით, ქიმიური იარაღის გამოყენება აშშ-ს ნაციონალურ ინტერესებს ეხება, თუმცა ობამას ჯერჯერობით არ მიუღია გადაწყვეტილება სირიაში სამხედრო ოპერაციის განხორციელების შესახებ.

შეგახსენებთ, რომ სირიაში სიტუაცია კრიტიკულ ფაზაში 21 აგვისტოს მას შემდეგ შევიდა, რაც ქიმიური იარაღის გამოყენების შედეგად, 1300 ადამიანი დაიღუპა. ამის შემდეგ აშშ და დასავლეთის ქვეყნებმა განაცხადეს, რომ შესაძლოა, სირიის კონფლიქტში სამხედრო მეთოდით ჩაერიონ. აღნიშნულ განცხადებას რუსეთი და ჩინეთი კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან.

*„მედიანიუსი“*

### 31 აგვისტოს „შატილობა“ გაიმართება

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინფორმაციით, ღონისძიების ფარგლებში წარმოდგენილი იქნება კუთხური ტრადიციები: ლუდის კოდის დალოცვა, დოღი და მკლავჭიდი.

საღამოს კი გალა კონცერტი დაასრულებს, რომელში მონაწილეობას მიიღებენ როგორც ადგილობრივი, ასევე მოწვეული ფოლკლორული ანსამბლები, ინდივიდუალური შემსრულებლები და მოძრაობის თეატრი. ღონისძიება დუშეთის მუნიციპალიტეტისა და საკრებულოს ორგანიზებით იმართება. „შატილობის“ მხარდამჭერი კი საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციაა.

*„ჯი-ეიჩ-ენი“*



### სამეწარმეო საქმიანობის დარღვევისთვის ორი პირი დააკავეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, სამეწარმეო საქმიანობისას ზედნადების გარეშე დიდი ოდენობით ეთილის სპირტისა და წითელი ხიზილალის ტრანსპორტირებისა და რეალიზაციის ფაქტებზე, მოქალაქეები: ანრი სუხიტაშვილი და ნიკოლოზ თედლიაშვილი დააკავეს, ხოლო ვიტალი ბაზანდარაშვილის მიმართ გამოტანილი იქნა დადგენილება პასუხისგებაში მიცემის შესახებ, ვინაიდან ეს უკანასკნელი თავს არიდებს გამოძიებას.

სამინისტროს ცნობით, გამოძიებით დადგინდა, რომ აღნიშნული პირები, დიდი ოდენობით აღურიცხავი ეთილის სპირტისა და ხიზილალის ტრანსპორტირებას და რეალიზაციას საგადასახადო დოკუმენტაციის გარეშე ახორციელებდნენ.

### 1 სექტემბერს, კოტე კუბლაშვილის გადაყენების მოთხოვნით, აქცია გაიმართება

საქართველოს პატრიოტთა ალიანსი საპარლამენტო უმრავლესობისგან უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის გადასაყენებლად შესაბამისი ზომების გატარებას ითხოვს. პატრიოტთა ალიანსის ლიდერის, სოსო მანჯავიძის განაცხადებით, საკანონმდებლო ორგანომ პირველივე სესიაზე უნდა დაიწყოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კოტე კუბლაშვილის იმპიჩმენტის პროცედურა.

**„ჩვენ ვთხოვთ საპარლამენტო უმრავლესობას, დაუყოვნებლივ დაიწყოს მოქმედებები იმისთვის, რომ კოტე კუბლაშვილი, ადამიანი, რომელიც უსამართლობის მამაა, ჩამოცილებული იქნას თანამდებობას. ჩვენ ამისთვის საპარლამენტო უმრავლესობას შევთავაზებთ იურიდიულ გზას მიზნის მისაღწევად“,** — განაცხადა მანჯავიძემ.

*„ჯი-ეიჩ-ენი“*

# საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ივანიშვილი საცხოვრებლად პარიზში გადავა?!



## რა ინფორმაცია მიაწოდეს რუსულ გენერალიტეტზე სოსო შატბერაშვილს

რუსუდან შელია
557-100-768

**კოალიციის დაშლას არჩევნებამდე პროგნოზირებს, გიორგი მარგველაშვილის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებას კი საეჭვოდ მიიჩნევს, სამაგიეროდ, ნინო ბურჯანაძის გამარჯვებას რეალურს უწოდებს. „ვერსია“ ყოფილ „ლეიბორისტს“, „მემარცხენე ალიანსის“ ლიდერს სოსო შატბერაშვილს ესაუბრა.**

— არ ვიცი, რა ამოძრავებდა ბიძინა ივანიშვილს, როცა საპრეზიდენტო კანდიდატად გიორგი მარგველაშვილი დაასახელა. შესაძლოა, იგი მართლაც კარგი პიროვნება და ფილოსოფოსია, მაგრამ აბსოლუტურად უუნარო პოლიტიკოსია. მართალია, საკმაოდ სუფთა ბეგრაუნდი აქვს — არავინ დაუკავებია და არც ვინმე უწამებია, მაგრამ საპრეზიდენტო არჩევნებში მისი გამარჯვება სათუო გახდა. თუ გიორგი მარგველაშვილმა არჩევნებში მაინც გაიმარჯვა, მერწმუნეთ, მაქსიმუმ ერთ წელიწადში ახალი საპრეზიდენტო არჩევნები დაინიშნება.

**— საპრეზიდენტო არჩევნებამდე ჯერ ორი თვეა დარჩენილი, თქვენ კი უკვე გიორგი მარგველაშვილის პრეზიდენტის თანამდებობიდან გადადგომაზე საუბრობთ. რატომ?**

— პრეზიდენტის თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ, გიორგი მარგველაშვილს ივანიშვილის ფაქტორი ვერ უშველის, რადგან ცნობილია, რომ პრემიერი პოლიტიკიდან მიდის. გავიხსენოთ, რამდენად რთულია საქართველოში პრეზიდენტის პოსტის შენარჩუნება. ზვიად გამსახურდიამ, რომელიც საზოგადოების 90%-ს, უბრალოდ, პატივს კი არ სცემდა, უყვარდა, 17 თვის განმავლობაში ხელისუფლების შენარჩუნება ძლივს მოახერხა. ამის შემდეგ აბსოლუტურად ბანდიტური გაერთიანებები აღმოჩნდნენ ხელისუფლების სათავეში, მაგრამ მათაც მხოლოდ სამი თვე მოახერხეს ქვეყნის მართვის სადავეების ხელში აღება. მოსკოვიდან მოწვეული ედუარდ შევარდნაძეც გააძევეს, სააკაშვილმა კი, რომელსაც ზურგს თავად ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი უმაგრებდა, მეორე ვადით არჩევა მიტინგების დარბევითა და არჩევნების გაყალბებით მოახერხა. ამათ ფონზე, გიორგი მარგველაშვილი ვინ არის? მის გარშემო წარმოუდგენელი დაპირისპირება დაიწყება.

**— ვინ დაუპირისპირდება გიორგი მარგველაშვილს — თანაგუნდელები თუ საზოგადოება? ისე, წინამორბედებთან შედარებით, მომავალ პრეზიდენტს ბევრად შეზღუდული უფლებებით მოუწევს პოსტის დაკავება.**

— პრეზიდენტი სრულად უფუნქციო არ იქნება, ბოლოს და ბოლოს, გიორგი მარგველაშვილი ქვეყნის მთავარსარდალი უნდა გახდეს. განსაკუთრებით აღმაშფოთებელი, რომ ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან წასვლას გეგმავს, რადგან ქართველმა ხალხმა მასზე გააკეთა არჩევანი და არა — დავით უსუფაშვილზე ან დავით საგანელიძეზე. ამიტომაც ვამბობ, მარტო დარჩენილი მარგველაშვილი გუნდისა თუ საზოგადოებისგან წამოსულ ზეწოლას ვერ გაუძლებს და პოსტიდან გადადგომის გადაწყვეტილებას მიიღებს. მარგველაშვილმა კიდევ არ იცის, რა უღელში ყოფს თავს. საზოგადოებისთვის წინასაარჩევნოდ მიცემული დაპირებების შესრულებას 6 მილიარდი დოლარის პატრონი ბიძინა ივანიშვილი ვერ ახერხებს და 600-ლარიანი გიორგი მარგველაშვილი მოახერხებს? მას არც პოლიტიკური და არც ეკონომიკური ბერკეტები არ გააჩნია, მიხვდება, რომ უსუსურია და წავა.

**— თქვენთვის ძლიერი პოლიტიკოსი ნინო ბურჯანაძეა?**

— საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების რეალური შანსი დღეს მხოლოდ გიორგი მარგველაშვილსა და ნინო ბურჯანაძეს აქვთ, დანარჩენები ტყუილად ირჯებიან. ნაციონალების კანდიდატი გამარჯვებისთვის არც იბრძვის, ახლა მისი ძირითადი ამოცანა მეორე ადგილზე გასვლაა და ეს მისი წინასაარჩევნო კამპანიიდანაც ჩანს. ნინო ბურჯანაძეს ფინანსური და პოლიტიკური შესაძლებლობა მართლაც აქვს, საქართველოს პრეზიდენტი რომ გახდეს. ბოლოს და ბოლოს, ეს ადამიანი ორი მოწვევის პარლამენტის თავმჯდომარე იყო და, ასევე, ორჯერ ასრულებდა საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობას.

**— სწორედ ის ფაქტი, რომ ბურჯანაძე 7 ნოემბრის მოვლენების შემდეგ საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებაზე დათანხმდა, მის მიმართ საზოგადოებაში დღემდე უამრავ კითხვას აჩენს.**

— არ ვამბობ, რომ ნინო ბურჯანაძის გარდა, სხვა ღირსეული კანდიდატი არ არსებობს. მაგალითად, ბიძინა ივანიშვილს კოალიციის საპრეზიდენტო კანდიდატად ირაკლი ალასანია რომ დაესახელებინა, კითხვის ნიშანიც არ გაჩნდებოდა, ვის აირჩევდა ქვეყანა პრეზიდენტად, თუმცა ფაქტია, რომ ივანიშვილს თავდაცვის მინისტრთან სერიოზული უთანხმოება აქვს. ამას არც პრემიერი მალავს და არც — ალასანია. ირაკლი ალასანიას თავად გაუჩნდა საპრეზიდენტო ამბიციები, ამიტომ ბიძინა ივანიშვილს შეეშინდა, რომ „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი პრემიერის ზურგსუკან დამოუკიდებელ თამაშს დაიწყებდა. დღეისთვის, ირაკლი ალასანიას თანამდებობრივი მდგომარეობა ბეწვზე ჰკიდია, მისი გათავისუფლება პრემიერს ერთი ხელმოწერით შეუძლია.

**— ბევრი პროგნოზირებს, რომ ამ პროცესს ირაკლი ალასანია დაასწრებს და კოალიციას გამოეყოფა.**

— დიახ, რეალურია. სანამ ხელისუფლებაში მოვიდოდა, თავად ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, კოალიცია მალე დაიშლებაო. ეს პროცესი დიდი ხანია დაიწყო და ირაკლი ალასანია, ალბათ, ბოლო აკორდი იქნება, თუმცა ბიძინა ივანიშვილის გარეშე ირაკლი ალასანიას შანსი მაინც დაბალი აქვს. ივანიშვილი და ალასანია ტანდემში მართლაც სერიოზული ძალა იქნებოდა. დღეს კი მარგველაშვილის გამარჯვება სათუოა.

**— გამოქვეყნებული კვლევის შედეგების მიხედვით, გიორგი მარგველაშვილს 53%-იანი რეიტინგი აქვს. თქვენთვის ეს ციფრი ირეალურია?**

— ამ კვლევების არ მჯერა, რადგან მისი დამკვეთები და შემსრულებლები „ქართული ოცნების“ წევრები არიან. სხვათა შორის, არ მგონია, ეს არჩევნები გაყალბდეს, რადგან პრემიერს ამის სურვილი არ აქვს — არჩევნების გაყალბებაში დაინტერესებული რომ იყოს, პოლიტიკიდან არ წავიდოდა, მაგრამ მას არც აინტერესებს, ვინ გახდება საქართველოს პრეზიდენტი. ჩემი ინფორმაციით, პრემიერის პოსტიდან გადადგომის შემდეგ, საფრანგეთში აპირებს საცხოვრებლად გადასვლას და პარიზიდან მართავს საქართველოს. ამიტომაც არ აქვს მნიშვნელობა, ვინ გახდება საქართველოს პრეზიდენტი, გიორგი მარგველაშვილი თუ ვინმე სხვა.

**— უკვე მერამდენედ მიანიშნებთ ნინო ბურჯანაძის გამარჯვებაზე. არ ფიქრობთ, რომ მისი გამარჯვებით ქვეყნის სათავეში პრორუსული ძალები მოვლენ?**

— პრორუსი არასოდეს ვყოფილვარ, პროდასავლური კურსი მაქვს არჩეული, მაგრამ მიმაჩნია, რომ რუსეთს არ უნდა ვეომებოდეთ. ნამდვილად არ მიმაჩნია, რომ პრორუსული ძალები ქვეყნის სათავეში უნდა მოვიდნენ... არ ვიცი, ნინო ბურჯანაძე რა პოლიტიკას გაატარებს, მაგრამ ვამბობ, რომ მას სერიოზული შანსი აქვს, პრეზიდენტი გახდეს. ნინო ბურჯანაძეს ოპოზიციაში გადანაცვლების შემდეგ მართლაც საეჭვოდ მივიჩნევდით, მაგრამ მან დაამტკიცა, რომ მიხეილ სააკაშვილთან უკომპრომისო ბრძოლა შეუძლია. იგი დღეს შურისძიებით ანთებული პოლიტიკოსია და მიიჩნევს, რომ ნაციონალური მოძრაობა ყველა დანაშაულისთვის უნდა დაისაჯოს. ამ მიდგომას საზოგადოების უმრავლესობა იზიარებს. გიორგი მარგველაშვილის დაპირება კოჰაბიტაციის დასრულების შესახებ კი გულწრფელი არ არის, რადგან ბიძინა ივანიშვილმა თავად აღიარა, სააკაშვილის იმპიჩმენტის დაწყება მსურდა, თუმცა ეს ამერიკელებს არ ესმითო. სწორედ აშშ-ს მფარველობაა, რომ ბაჩო ახალაიას ვაშლის გათლისთვის ასამართლებენ. როგორც მითხრეს, როცა რუსმა გენერალიტეტმა გაიგო, რომ თავდაცვის ყოფილ მინისტრს გინებისთვის ასამართლებდნენ, სიცილით დაიხოცა.

**— რუსი გენერალიტეტის რეაქციის შესახებ თქვენ ვინ გიამბოთ?**

— ასე ამბობენ რუსეთში მყოფი ქართველები... ერთი სიტყვით, „ოცნება“ აბსოლუტურად სასაცილო მდგომარეობაში აღმოჩნდა.

რაც შეეხება ნაციონალებს, ისინი საკმაოდ რეალისტები არიან და კარგად აფასებენ საკუთარ შესაძლებლობებს.

**— ამ ფონზე, პოლიტიკაში თქვენი ადგილი სად არის?**

— ჩვენ თითქმის ყველა პოლიტიკურ პარტიასთან უკვე ვთანამშრომლობთ. ამ არჩევნებში მონაწილეობას მივიღებთ. ჩვენ ვაპირებთ, ერთ-ერთ კანდიდატს მხარი დავუჭიროთ, თუმცა ჯერჯერობით, ბოლომდე ჩამოყალიბებულნი არ ვართ. ჩვენი მთავარი პოლიტიკური სამიზნე ადგილობრივი არჩევნები გახლავთ. როცა ხელისუფლების სათავეში აღარც გამყალბებელი სააკაშვილი იქნება და არც ივანიშვილი. სწორედ მაშინ გამოჩნდება პოლიტიკური ძალების ვაჟკაცობა, ვინ რისი გამკეთებელია. როცა ზურგს ოლიგარქი გიმაგრებს, თითის ქნევა ადვილია, აუცილებლად გავიმარჯვებთო, მაგრამ როცა უკან ივანიშვილი არ გყავს და ყველა ერთნაირია, მაშინ გამოჩნდება, ვინ რისი გამკეთებელია.



## სააკაშვილი ზოოპარკის დირექტორს მოუწოდებს, ფრთხილად იყოს

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ზოოპარკის დირექტორს მიმართავს, „ფრთხილად იყოს“. ამის შესახებ პრეზიდენტმა ჟურნალისტებს ბათუმში, 28 აგვისტოს, პიაცაზე მომხდარი ინციდენტის კომენტირებისას განუცხადა.

**„მინდა, ზოოპარკის დირექტორს ვუთხრა, რომელსაც ნერვები ეშლება, რომ ხალხი ქუჩაში მხვდება, ტაშს მიკრავს და ეს ტელევიზიით აჩვენეს, ყველაფერს თავისი ფასი აქვს. თუ შენ ჩაცუცქული ელემენტებით აპირებ პოლიტიკის კეთებას, თუ აპირებ ერთგან კონფლიქტის გაღვივებას სრულიად გაუმართლებელი ქმედებებით, როგორც ადიგენში მოხდა და მეორეგან, დეპუტატების ცემით და ა.შ, ეს ყველაფერი ერთ სურათში იკვრება. ის თავის თავს უშველის, დაკეტავს ზოოპარკს და წავა და ჩვენ, საზოგადოებამ რა ვქნათ? მერე როგორ დავალაგოთ ეს ყველაფერი? როგორ უნდა დავაბრუნოთ ტურისტები, ინვესტორები, შემოსავლები, რომლებსაც ის ქვეყანას დააკლებს? ბევრი არეულობის დანერგვით და ქაოსით პრობლემა ქვეყანას ექმნება. ბათუმში ყველაზე ხალხმრავალ ადგილას ერთი პოლიციელი არ ჰყავდათ. ეს რაზე მეტყველებს? ეს არის სახელმწიფო ორგანოების მიერ გაკეთებული აქცია. ხალხს, რომელიც ჩემს გარშემო ბევრი იყო, აიძულეს, თავის ხელში აეღო სამართალი. ამიტომ მინდა, ზოოპარკის დირექტორს გადავცე, ფრთხილად იყოს, ასეთი რაღაცები არ შეიძლება“,** — განაცხადა პრეზიდენტმა.

შეგახსენებთ, რომ 28 აგვისტოს მელორ ვაჩნაძემ პრეზიდენტს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, რის გამოც იგი სამართალდამცველებმა დააკავეს, შემდეგ კი საქალაქო სასამართლომ 100-ლარიანი ჯარიმის სანაცვლოდ გაათავისუფლა.

*„პირველი“*



## ხულოში ტყითსარგებლობის კანონდარღვევის ფაქტები გამოვლინდა

ხულოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტყითსარგებლობის კანონმდებლობის დარღვევის ფაქტები გამოვლინდა. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ცნობით, ტყითსარგებლობის კანონმდებლობის დარღვევის ფაქტები გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის აჭარის სამსახურის თანამშრომლების მიერ გამოვლინდა. კერძოდ, მრგვალი ხე-ტყის (მორი) პირველადი გადამუშავების უკანონოდ მოქმედი 5 სახერხი საამქრო, ორ რეგისტრირებულ სახერხ საამქროზე ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დარღვევისა და ხე-ტყის უკანონოდ ჭრის ფაქტები.

**„სამართალდამრღვევთა მიმართ შედგა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმები, რომლებიც განსახილველად სასამართლოს გადაეგზავნება. სამართალდამრღვევ პირებს ხე-ტყის უკანონოდ მოპოვებისთვის, გარდა ჯარიმისა, ასევე დაეკისრებათ გარემოსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, ხოლო ამოღებული დაუმარკირებელი მორები კონფისკაციას დაექვემდებარება“,** — აცხადებენ სამინისტროში.

უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ ხე-ტყის უკანონო მოპოვების 200-ზე მეტი ფაქტი გამოვლინდა.

*„ინტერპრესნიუსი“*




## სწრაფი კვების ქართულ ბაზარზე ახალი მოთამაშეები შემოდიან

2013 წლის ბოლომდე, სწრაფი კვების რესტორნების მსოფლიო ქსელი Subway საქართველოში საკუთარ ფილიალს გახსნის. თემურ ჭყონია რესტორნების მსოფლიო ქსელ Subway-ს, საქართველოში მცირე და სტაბილურ გაყიდვებს უწინასწარმეტყველებს.

Bloomberg-ის ინფორმაციით, კომპანია განაგრძობს გაფართოებას და 2014 წლის ბოლომდე, ევროპაში კიდევ 1 000 რესტორნის ამოქმედებას გეგმავს. Subway-ს რეგიონული დირექტორის, მაიკ შარესტის განცხადებით, ამჟამად კომპანია ევროპაში 4 018 რესტორანს ფლობს. მისივე სიტყვებით, ევროპაში სწრაფი კვების ბაზარი უფრო მაღალი ტემპებით ვითარდება, ვიდრე ჩრდილოეთ ამერიკაში. წლის ბოლომდე, Subway latviis, ლიტვისა და უკრაინის ბაზრებზე გასვლასაც გეგმავს.

ბოლო პერიოდში, Subway-ს მოგება ევროპაში 18%-ით, მსოფლიო გაყიდვები კი 9%-ით გაიზარდა. Subway მთელ მსოფლიოში 40 000 რესტორანს ფლობს, მისი კონკურენტი McDonald's — 35 000-ს. თბილისში, Subway-ს პირველი რესტორანი ჭავჭავაძის გამზირზე გაიხსნება.

როგორც წესი, Subway-ს ფილიალები McDonald's-ისა და ანალოგიურ რესტორნებზე მცირე ზომისაა, რომელიც გაცილებით ნაკლები რაოდენობის პერსონალსა და აღჭურვილობას საჭიროებს. მცირე დასახლებულ პუნქტებსა და სხვა ადგილებში, სადაც McDonald's-ის მუშაობა წამგებიანია, Subway-ს რესტორნებს რენტაბელურს ხდის. სწორედ ამით აიხსნება Subway-ს ფილიალების რაოდენობის ზრდა აშშ-სა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში. სწრაფი კვების კიდევ ერთი მსოფლიო ბრენდის, „ვენდისის" პირველი ობიექტი სექტემბერში, რუსთაველის გამზირზე გაიხსნება.

*რადიო „კომერსანტი"*



## გურამ ჩალაგაშვილი სემეკ-იდან არასამთავრობო სექტორში მიდის

ვინ შეცვლის გურამ ჩალაგაშვილს საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ-ი) თავმჯდომარის პოსტზე, ჯერჯერობით, უცნობია. სემეკ-ის ამჟამინდელ ხელმძღვანელს, ეს თანამდებობა 2007 წლის აგვისტოდან უკავია და უფლებამოსილების ვადა, მიმდინარე წლის აგვისტოში ეწურება.

როგორც გურამ ჩალაგაშვილი რადიო „კომერსანტთან" აცხადებს, მისი შემცვლელის სავარაუდო კანდიდატის შესახებ ინფორმაციას არ ფლობს. მისივე თქმით, სემეკ-ის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი, ამავე კომისიის წევრი იქნება, რადგან პრემიერს მისი შემცვლელის დასახელების კონკრეტული ვადა განსაზღვრული არ აქვს. გურამ ჩალაგაშვილი სემეკ-ის თავმჯდომარის პოსტის დატოვების შემდეგ, საქმიანობის გაგრძელებას არასამთავრობო სექტორში გეგმავს.

*რადიო „კომერსანტი"*

# კოჰაბიტაცია თბილისის საკრებულოში — „ოცნება" ნაციონალებისთვის 2 „ჯიპსა" და 6 „სედანს" ყიდულობს?!




## 8 მანქანის შესაძენად დედაქალაქის ბიუჯეტიდან 300 000 ლარია გამოყოფილი

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**თბილისის საკრებულო ორი „ჯიპისა" და ექვსი „სედანის" ტიპის ავტომობილის შეძენას აპირებს. კონკურენციისა და შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული სატენდერო განცხადების მიხედვით, თბილისის საკრებულო ავტომობილებში 276 200 ლარის დახარჯვას გეგმავს. გარდა ამისა, სატენდერო პირობებში აღნიშნულია, რომ ანგარიშსწორება თბილისის საკრებულოს 2013 წლის ბიუჯეტიდან განხორციელდება.**

სატენდერო პირობებში ოფიციალურად მითითებულია, რომ ავტომობილები ახალი, 2013 წელს გამოშვებული უნდა იყოს. პრეტენდენტს თბილისში უნდა გააჩნდეს ავტორიზებული სერვის-ცენტრი, სადაც საგარანტიო მომსახურებას განახორციელებს. რაც მთავარია, შეთავაზებულ ავტომობილებზე ულიმიტო გარბენით, 5-წლიანი გარანტია უნდა გავრცელდეს. სატენდერო განცხადებების მიღება 11 სექტემბერს დაიწყება და 16 სექტემბერს დასრულდება.

ეკონომიკური ზრდის შეჩერების, მოსალოდნელი ინფლაციური ფონის გაუარესებისა და პირველადი პროდუქტების გაძვირების ფონზე, თბილისის ბიუჯეტიდან 300 000 ლარის 8 მანქანაში გახარჯვა აშკარად ფუფუნებაა. 2010 წელს, როდესაც პრეზიდენტმა სააკაშვილმა მინისტრებს „ქამრების შემოჭერისა" და ძვირადღირებული „ჯიპების" ნაცვლად, 10 000-დან 15 000 ლარამდე ღირებულების, მსუბუქ ავტომობილებზე გადაჯდომისკენ მოუწოდა, ნაციონალმა მინისტრებმა პრეზიდენტის ნათქვამი „ერთ ყურში შეუშვეს და მეორიდან გაატარეს". „ქამრების შემოჭერა" კაბინეტს ბიძინა ივანიშვილმაც მოსთხოვა, მაგრამ 2012 წლის ბოლოს, დეკემბრის შუა რიცხვებში, „მეოცნებე" მინისტრებმა წინასაახალწლოდ, საკმაოდ სოლიდური პრემიები „გამოიწერეს" და ხელისუფლებაში ყოფნის ორი თვე (2012 წლის 1 ოქტომბრიდან დეკემბრამდე) ორიგინალურად „აღნიშნეს".

საკრებულოს ტენდერს „ჯიპებისა" და „სედანის" მარკის ავტომობილების შეძენასთან დაკავშირებით, თბილისის ფორუმზეც გამოეხმაურნენ. აი, რას წერენ ამ ფაქტით აღშფოთებული „ფორუმელები":

**„ჯერ არ მოსულან უმრავლესობით და უკვე ახალი მანქანები მოინდომეს. ბოლოს და ბოლოს, ლონდონის მერი დადის ველოსიპედით".**

**„ოჰო, ბიჭების გემოვნებას არა უშავს? საკრებულო არის სექტანტების „სხადნიაკი", რომელსაც ახლავე უნდა მიეხედოს!"**

**„როგორ ეკადრებათ, მერიას რაც აქვს, 2008-2012 წლის მანქანებია და ახლებია საჭირო. აბა, ტყუილად ხომ არ გადაბარგდნენ „ოცნებაში", დაფასება ხომ უნდა ამას?"**

**„ყოჩაღ, რა სწრაფად დაივიწყეს ყველაფერი და ნაცებს რა ხელად დაემსგავსნენ!"**

**„მეტროთი სიარული როგორ ეკადრებათ? ფუ, ამათი ქაჯი..."**

**„300 000 ლარი 8 მანქანაში? თითქოს, 10 000-ლარიანი მანქანებით ვერ ივლიდნენ, რა!"**

**„საერთოდ, მორატორიუმი უნდა გამოცხადდეს 5-6 წლით მანქანებზე, რემონტზე, პრემიებსა და ეგეთ რამეებზე".**

**„ბიჯო, კაბინეტში შესულები არ არიან და უკვე ტენდერებს აცხადებენ მანქანებზე".**

„ვერსია" თბილისის საკრებულოს წევრს, ფრაქცია „ქართული ოცნების" წარმომადგენელ **მამუკა ბალიაშვილს** დაუკავშირდა, რომელმაც აგვიხსნა, რომ ეს ტენდერი საკრებულოს ნაციონალი დეპუტატებისთვის გამოცხადდა:

**— იმ ფონზე, როდესაც „ოცნებას" ეკონომიკური ზრდის შეჩერებას საყვედურობენ, „ჯიპებისა" და „სედანის" მარკის ავტომობილებზე ტენდერის გამოცხადება რა საჭირო იყო?**

— მესმის, მაგრამ რეალობა სულ სხვაა. არ იფიქროთ, რომ მანქანებს ვიცვლით, ახალ მანქანას არავინ ყიდულობს. საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ წინდაუხედავად და თბილისის ბიუჯეტის გაუფრთხილებლად, საკუთარი გუნდი სამ-სამკაციან ჯგუფებად დაშალა და ფრაქციები შექმნა. რა თქმა უნდა, ეს მათი გადასაწყვეტი იყო, კანონი აძლევდა ამის უფლებას, მაგრამ ამით თბილისის ხარჯები მნიშვნელოვნად გაზარდეს. მოგეხსენებათ, ფრაქციის თავმჯდომარეებს ეკუთვნის მანქანები, რაც მთავარია, საკრებულოს უმრავლესობა კანონით გათვალისწინებულ პროცედურებს იცავს და ეს ტენდერიც ამისთვის გამოცხადდა. სხვათა შორის, არა მარტო მანქანებისთვის, ბიუჯეტში ფრაქციების დასაფინანსებელი თანხებიცაა გათვალისწინებული, რაც ასევე კანონიერი მოთხოვნაა და საკრებულოს უმრავლესობა სხვა გადაწყვეტილებას ვერ მიიღებდა. ტენდერი რომ არ გამოგვეცხადებინა, ამას გაუთავებელი საუბრები მოჰყვებოდა, რომ საკრებულოში ოპოზიციის უფლებებს არღვევენ და ასე შემდეგ.

**— ესე იგი, ორ „ჯიპსა" და ექვს „სედანს" ისევ ნაციონალი დეპუტატებისთვის ყიდულობთ?**

— დიახ, ამ მანქანებს ახალი ფრაქციებისთვის შეიძენს საკრებულო. კიდევ ერთხელ დაგიზუსტებთ, რომ უმრავლესობის არც ერთი წევრი არ იცვლის მანქანას, რომელი მანქანებითაც გადაადგილდებოდნენ ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები, ჩვენი გუნდის წევრებიც იგივე მანქანებს იყენებენ. სურვილიც კი არ გვქონია, ძველი მანქანები ახლით ჩაგვენაცვლებინა. რაც შეეხება ტენდერს, გიმეორებთ, კანონით გათვალისწინებულია, რომ ფრაქციას ეკუთვნის გარკვეული თანხა თბილისის ბიუჯეტიდან, ამ შემთხვევაში, საკრებულოს ბიუჯეტიდან, ფრაქციის თავმჯდომარეს ეკუთვნის მანქანა და საწვავის გარკვეული რაოდენობა, დაახლოებით, 400-500 ლიტრი ყოველთვიურად. ამდენი მანქანა ფიზიკურად არ არსებობდა, რადგან საკრებულოში ამ რაოდენობის ფრაქცია არასდროს ყოფილა, იძულებულები გავხდით, ტენდერი გამოგვეცხადებინა. ნაციონალური მოძრაობის გადასაწყვეტია, დაიშლებოდა თუ არა სხვადასხვა ფრაქციებად, მაგრამ ბიუჯეტთან მიმართებაში, უპასუხისმგებლო გადაწყვეტილება მიიღეს, რადგან ამით ხარჯები გაზარდეს. წარმოიდგინეთ, 300 000 ლარი მხოლოდ 8 მანქანის შესაძენად უნდა გაიხარჯოს, მაგრამ ფრაქციებისთვისაც ყოველთვიურად უნდა გამოიყოს თანხა ბიუჯეტიდან, დაახლოებით, 4 000 ლარის ოდენობით, ამ ყველაფერს კი საწვავის ხარჯიც ემატება. ვფიქრობ, თუ ნაციონალური მოძრაობა პასუხისმგებლობის მქონე პოლიტიკური ძალაა, ამ რაოდენობის ფრაქციებად არ უნდა დაშლილიყო, დაზოგილი თანხა კი სხვადასხვა პროექტზე გადანაწილდებოდა, რაც თბილისელებს ასე ძალიან სჭირდებათ. ვგულისხმობ, ავარიული სახლების გამაგრებას და სხვა სოციალური სახის პროექტებს.

# „მე-9 არხი“ ივანიშვილის შემოწირულობებს მალავდა?




## პირველი ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, „რუსთავი 2“-ის შემოსავალი 31%-ით გაიზარდა, „იმედის“ კი 29%-ით შემცირდა

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო“ მორიგ ანგარიშს აქვეყნებს, რომელიც მედიაბაზარზე არსებულ მდგომარეობას ასახავს. კვლევის მიხედვით, 2013 წლის პირველ თვეებში, ტელევიზიების შემოსავალმა იკლო. რა არის ამის მიზეზები და რა მოცულობის შემოსავლების დეკლარირება მოახდინეს ტელევიზიების მფლობელებმა? „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ მკვლევართა აზრით, შემოსავლების კლების მიზეზი ის პოლიტიკური ცვლილებებია, რაც 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებს მოჰყვა — ხელისუფლების ცვლილებების შედეგად, ინვესტორები და სარეკლამო დამკვეთები გაურკვეველ მდგომარეობაში არიან.**

2013 წლის თებერვალ-მაისში კერძო ტელევიზიებმა 21 751 009 ლარის შემოსავალი დაადეკლარირეს, რაც წინა წლის იმავე თვეების შემოსავლებს 4 300 000 ლარით ჩამოუვარდება. ამ თანხის 93% ტელეკომპანიებმა სარეკლამო შემოსავლებიდან მიიღეს. ესაა საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ოფიციალური მონაცემები, რაც „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველომ“ გამოითხოვა. კანონის მიხედვით, სამაუწყებლო ლიცენზიების მფლობელები ვალდებულები არიან, მარეგულირებელ კომისიაში შემოსავლები ყოველთვე დაადეკლარირონ.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ მკვლევარები ეჭვობენ, რომ ტელევიზიები, განსაკუთრებით კი „მეცხრე არხი“, რომელსაც ჯერ კიდევ პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის ოჯახი ფლობს, მარეგულირებელ კომისიაში არასრულ მონაცემებს წარადგენდა. კერძოდ, დეკლარაციებში არ აღრიცხავდა მფლობელების მიერ განხორციელებულ შემოწირულობებს. ზოგიერთი ტელევიზია უფრო დეტალურ ინფორმაციას აწვდის მარეგულირებელს და შემოსავლებს რამდენიმე კატეგორიაში ანაწილებს — რეკლამა, სპონსორობა, გადაცემის განთავსება, საეთერო დროის გაყიდვა და ასე შემდეგ, სხვა ტელევიზიები კი მხოლოდ მთლიან შემოსავალს წარადგენენ, ან შემოსავლები ერთი კატეგორიიდან მეორეში გადააქვთ.

### „მეცხრე არხის“ შემოსავლები

ბიძინა ივანიშვილის ოჯახის მფლობელობაში არსებული „მეცხრე არხი“ დროებით, ახალი ინვესტორის გამოჩენამდე დაიხურა. პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ ტელეკომპანიის გაყიდვას ბოლო ათი თვის განმავლობაში ცდილობდა. არხის თანამშრომლების თქმით, ამის შესახებ არაფერი იცოდნენ და მხოლოდ პოსტ-ფაქტუმ შეიტყვეს, რომ ახალი სამსახურის უნდა მოეძებნათ.

**„ნაკლებად სავარაუდოა, რომ შესაფერისი ინვესტორი დროულად მოიძებნოს. მით უმეტეს, იმ პირობებში, როდესაც „მეცხრე არხმა“ თავისი არსებობის განმავლობაში ვერ შეძლო მნიშვნელოვანი სარეკლამო შემოსავლების მოზიდვა და თავი უმეტესად მფლობელის არადეკლარირებული შემოწირულობებით გაჰქონდა. შედარებისთვის, 2013 წლის იანვარ-მაისში, „მეცხრე არხმა“ მხოლოდ 379 333 ლარის შემოსავლები მიიღო, აქედან 312 827 ლარი სარეკლამო შემოსავალია. არადა, „მაესტრომ“ ამავე პერიოდში 1 300 000 ლარის შემოსავლების მოზიდვა შეძლო, ოღონდ მთლიანად რეკლამიდან“,** — აღნიშნულია კვლევაში.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ მკვლევარებს მიაჩნიათ, რომ წლის დასაწყისში დაფიქსირებული დაბალი ეკონომიკური მაჩვენებლები და შემცირებული სარეკლამო ბაზარი დამატებითი გამოწვევა იქნება „მეცხრე არხის“ ფინანსურად მდგრად ბიზნესად გარდაქმნის პროცესში.

### „რუსთავი 2“-ის შემოსავლები

„რუსთავი 2“ ყველაზე მაღალშემოსავლიან ტელევიზიად რჩება — 2013 წლის იანვარ-მაისში ტელეკომპანიამ 12 300 000 ლარის შემოსავალი დაადეკლარირა. შემოსავლის უდიდესი ნაწილი რეკლამიდან მოზიდული თანხაა, უფრო კონკრეტულად, 9 600 000 ლარი — რეკლამიდან, 2 000 045 ლარი — სპონსორობიდან, 107 964 ლარი — გადაცემის განთავსებიდან და საეთერო დროის გაყიდვიდან. 2012 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, „რუსთავი 2“-ის შემოსავლები 31%-ით გაიზარდა.

2012 წელს, „რუსთავი 2“-ის შემოსავალი 30 679 329 ლარი იყო, რომლის 95% რეკლამიდან მიღებული თანხა გახლდათ. 2011 წელთან შედარებით, სამაუწყებლო ტელეკომპანიის შემოსავალი 9 000 000 ლარით, ხოლო სარეკლამო შემოსავალი — 2 000 000 ლარით შემცირდა. შემოსავლების კლების მიზეზი არხის რესტრუქტურიზაციაა, რაც 2012 წლის განმავლობაში, „რუსთავი 2“-ზე ორჯერ განხორციელდა, რომლის ფარგლებში, თანამშრომელთა ხელფასიც შემცირდა.

ფაქტია, რომ სარეკლამო შემოსავლების მხრივ, 2013 წელი უკეთესი აღმოჩნდა, ვიდრე ამას „რუსთავი 2“-ის ხელმძღვანელები ელოდნენ. „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ მკვლევარებთან საუბრისას, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გაყიდვების განყოფილების უფროსმა აღნიშნა: **„2013 წელს სარეკლამო შემოსავლების ზრდამ გვიჩვენა, რომ ბაზარზე გავლენას პოლიტიკური ფული კი არ ახდენს, არამედ — გარემო, რომელსაც ესა თუ ის პოლიტიკა ქმნის. რა თქმა უნდა, ეს გარემო რეკლამის დამკვეთებზეც მოქმედებს“.**

### სხვა ტელევიზიების შემოსავლები

ამავე პერიოდში, ტელეკომპანია „იმედის“ შემოსავლები 6 153 138 ლარი იყო. აქედან 4 800 000 ლარი — რეკლამიდან და 1 300 000 ლარი — სპონსორობიდან. 2012 წლის იანვარ-მაისთან შედარებით, ტელეკომპანია „იმედის“ შემოსავლები 29%-ით შემცირდა.

„მაესტროს“, „კავკასიისა“ და „მეცხრე არხის“ შემოსავლები, ჯამში, ბევრად ჩამორჩება ორი უმსხვილესი ტელევიზიის — „რუსთავი 2“-სა და „იმედის“ შემოსავლებს. „რუსთავი 2“ და „იმედი“ საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიას ფარავენ, 2012 წელს კი ამ ორმა არხმა სატელევიზიო სარეკლამო შემოსავლების 63% მიიზიდა.

2013 წლის იანვრიდან მაისამდე „მაესტრომ“ 1 300 000 ლარის შემოსავალი მიიღო. აღნიშნული თანხა მთლიანად სარეკლამო შემოსავლებიდან მოიზიდა, რაც 2012 წლის იმავე პერიოდთან შედარებით, სამჯერ მეტია. ამჟამად „მაესტროს“ ორი არხი აქვს: ერთზე გასართობი და პოლიტიკური გადაცემები გადის, მეორეზე — პოლიტიკური გადაცემები („მაესტრო 24“ საინფორმაციო ტელეარხია).

რაც შეეხება რეგიონულ მაუწყებლებს, „თრიალეთმა“, რომელიც გორში მაუწყებლობს და რომლის ერთ-ერთი მფლობელი „მეცხრე არხია“, 80 064 ლარის შემოსავალი მიიღო, ბათუმის „25-ე არხმა“ — 271 105 ლარი. აქედან 185 000 ლარი სარეკლამო შემოსავლებია.

„ტაბულამ“ საცდელი მაუწყებლობა 2013 წლის იანვრის შუა რიცხვებში დაიწყო და თებერვლიდან დღემდე, 1 104 562 ლარის შემოსავალი მიიღო. აქედან 924 932 ლარი მაისის შემოსავალია და მარეგულირებელი კომისიის მონაცემების მიხედვით, საეთერო დროის გაყიდვიდან, ასევე გადაცემის განთავსებიდანაა მიღებული.

სავარაუდოდ, შემოსავლების კლება მთავრობის ცვლილებით გამოწვეული პოლიტიკური გაურკვევლობის შედეგია, რამაც კერძო სექტორის სარეკლამო დანახარჯების შემცირება და ეკონომიკური ზრდის ვარდნა გამოიწვია. გარდა ამისა, 2013 წელს, რამდენიმე მსხვილმა კომპანიამ, საკუთარი სარეკლამო კამპანია დაგვიანებით დაიწყო, რაც ზოგიერთ ტელევიზიასა და სარეკლამო სააგენტოში მფლობელებისა და ხელმძღვანელობის ცვლილებებს უკავშირდებოდა.



### შარშანდელთან შედარებით, ამ ზაფხულს ბაკურიანს 15%-ით მეტი ტურისტი ეწვია

ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის ცნობით, გასულ წელთან შედარებით, ზაფხულის სეზონზე, ბაკურიანში 15%-ით მეტი ტურისტი ჩავიდა.

როგორც „კომერსანტს“ ცენტრიდან აცნობეს, არახელსაყრელი ამინდების მიუხედავად, წელს განსაკუთრებით აქტიური უცხოელი ვიზიტორები არიან. მათი თქმით, ზაფხულის სეზონი აგვისტოს ბოლოს სრულდება, თუმცა ებრაელი და უკრაინელი ტუროპერატორები ტურისტული ჯგუფების ჩამოყვანას სექტემბერსა და ოქტომბერშიც გეგმავენ.

რაც შეეხება სასტუმროს ნომრის ფასებს, ზაფხულის სეზონზე, საოჯახო ტიპის სასტუმროებში, ღამის გათევა კვებით — 50 ლარი, კვების გარეშე — 25 ლარი ჯდება. სასტუმროში ერთადგილიანი ნომრის საშუალო ღირებულება კი 120 ლარია.

*რადიო „კომერსანტი“*



### საქართველოში სიგარეტის იმპორტი 37%-ით გაიზარდა

საქართველოში თამბაქოს ნაწარმის იმპორტი იზრდება. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის — „საქსტატის“ ინფორმაციით, 2013 წლის 7 თვეში, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, საქართველოში სიგარეტისა და სიგარის იმპორტი თითქმის 37%-ით გაიზარდა. „საქსტატში“ აცხადებენ, რომ 2013 წლის იანვარ-ივლისში, საქართველოში 4 მილიარდზე მეტი ღერი თამბაქოს ნაწარმის იმპორტი განხორციელდა. არადა, 2012 წლის იანვარ-ივლისში, 3 მილიარდ ღერზე მეტი თამბაქოს იმპორტი დაფიქსირდა.

სტატისტიკური ინფორმაციით ირკვევა, რომ საქართველოში, ყველაზე დიდი მოცულობით თამბაქოს ნაწარმის იმპორტი უკრაინიდან ხორციელდება და ამ ქვეყანაზე მთელი იმპორტის 80% მოდის. სიგარეტის იმპორტიორი ქვეყნების ჩამონათვალში, მეორე პოზიციაზე ბულგარეთია, ლიდერ პოზიციაზე კი სომხეთი, გერმანია და რუსეთია.

2013 წლის იანვარ-ივლისში, საქართველოში, მთლიანობაში 56 537 600 აშშ დოლარის თამბაქოს პროდუქციის იმპორტი განხორციელდა.

*რადიო „კომერსანტი“*



### ღვინის კომპანიებს 44 მილიონი ლარის სესხი სჭირდებათ

რადიო „კომერსანტისთვის“ ცნობილი ხდება, რომ სოფლის მეურნეობის მილიარდიანი ფონდით სარგებლობა, ღვინის 18 კომპანიას სურს. როგორც „კომერსანტს“ ფონდიდან აცნობეს, დღეს არსებული მონაცემებით, ბანკები 44 000 000 ლარის ღირებულების სესხს, 18 კომპანიის განაცხადის მიხედვით ამუშავებენ.

რაც შეეხება სხვა კომპონენტებში გაცემულ აგროკრედიტებს, აგვისტოს მონაცემებით, პირველ კომპონენტში თითქმის 3 000 მსესხებელზე, 1 000 000 ლარზე მეტი გაიცა, მეორე კომპონენტში გაცემულმა სესხმა 42 500 000 ლარი შეადგინა, მესამე კომპონენტში კი 171 პირზე, 22 500 000 ლარია გაცემული.

სოფლის მეურნეობის მილიარდიანი ფონდი, მიმდინარე წლის მარტის ბოლოდან ამოქმედდა და ამ დროისთვის, 81 000 000 ლარია გაცემული.

*რადიო „კომერსანტი“*

## სამართალდამცველებმა ნარკოდანაშაულისთვის ერთი პირი დააკავეს

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის 1 მთავარი სამმართველოს მე-2 სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შედეგად, 1976 წელს დაბადებული ვაჰით გ. ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით თბილისში დააკავეს. სამართალდამცველებმა დაკავებულის კუთვნილი ავტომანქანის ჩხრეკისას ნარკოტიკულ ნივთიერება „ტრამადოლის" შემცველი 72 აბი ამოიღეს.

ნარკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით, ვაჰით გ-ს „ოპიუმის", „მეტადონის", „ჰეროინის" და „ტრამადოლის" მოხმარების ფაქტი დაუდგინა.

დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (სსსკ–ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით).

***„ვერსიანიუსი"***



## „თალიბანის" სახელით გავრცელებული ვიდეორგოლების საქმის შედეგები ცნობილი შემოდგომით გახდება

**„თალიბანის" სახელით გავრცელებული ვიდეორგოლების საქმის შედეგები შესაძლოა, სექტემბერ-ოქტომბერში გახდეს ცნობილი",** — ამის შესახებ საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს უმრავლესობის წევრმა ზაქარია ქუცნაშვილმა პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის ანდრო ბარნოვის მიერ ამავე საკითხზე გაკეთებული განცხადების კომენტირებისას განაცხადა.

**„ღარიბაშვილი ამ საკითხზე მუშაობს უცხოელებთან, ებრაელებსა და ამერიკელებთან ერთად. შესაბამისად, ალბათ, ისინი წარმოადგენენ თავიანთი მუშაობის შედეგებს და არ მგონია, ეს შედეგები სექტემბერ-ოქტომბერში არ იყოს ცნობილი. თუ გამოძიება დასრულებული არ არის, ამ შემთხვევაში, საქმეში ჩახედვის უფლება მხოლოდ პროკურორს აქვს იმიტომ, რომ ჩვენი სამართლებრივი სისტემა ეფუძნება გამოძიების საიდუმლოობას, ანუ საიდუმლოდ მიდის გამოძიება",** — განაცხადა ზაქარია ქუცნაშვილმა.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ანდრო ბარნოვმა ხელისუფლებას „თალიბანის" სახელით გავრცელებული ვიდეორგოლების გამოძიების საქმის თაობაზე საზოგადოების ინფორმირებისკენ მოუწოდა. მისი თქმით, „რჩება შთაბეჭდილება, რომ ხელისუფლება ყველანაირად ცდილობს, მიჩქმალოს „თალიბანის" სახელით გავრცელებული ვიდეოების გამოძიების საქმე".

***„ჯი-ეიჩ-ენი"***

# პირობით მსჯავრდებულთა უმეტესობა პრეზიდენტის შეწყალებაზე უარს ამბობს



დავით დევიძე
593-219-042

**„გამარჯობა, თქვენ დაუკავშირდით პრეზიდენტის ადმინისტრაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს. მომსახურების სრულყოფის მიზნით, თქვენი საუბარი შესაძლოა ჩაიწეროს", — ზუსტად ამ სიტყვებს გაიგონებთ ტელეფონზე, თუკი პირობითი სასჯელი გაქვთ ან ნასამართლევი ხართ და პრეზიდენტის ადმინისტრაციაში რეკავთ შეწყალების მისაღებად. შემდეგ, გადაგრთავენ ოპერატორთან და ყოველ ოც წამში იგივე ავტომოპასუხე მონოტონური ხმით იმეორებს: „ოპერატორი დაკავებულია, გთხოვთ, დაელოდოთ"... თქვენც ელოდებით ორი, ოთხი, რვა წუთი. შემდეგ, ტელეფონის დაკავების ზუმერი ისმის და კონტაქტი წყდება...**

ასეთ დღეშია ის ათასობით ადამიანი, რომელიც საბუთების შესატანად რეკავს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში. „ვერსიაც", სამი დღის განმავლობაში, ამაოდ ცდილობდა შეწყალების კომისიასთან დაკავშირებას... არადა, არსებული ინფორმაციით, საქართველოში 20 ათასამდე პირობითი მსჯავრდებული და 800 ათასამდე ნასამართლევია. ერთი კვირის წინ სააკაშვილმა რომ გამოაცხადა, რამდენიმე კატეგორიის გარდა, ყველას ვუხსნი პირობით მსჯავრსა და ნასამართლეობასო, ბევრს გაუხარდა, მაგრამ სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა: მსჯავრის მოსახსნელად იმდენი პროცედურაა გასავლელი, ვიდრე ბოლოში გახვალ, სასჯელის ვადაც დამთავრდება.

**„შვილმა მითხრა, განცხადების დაწერა რომ დამაძალო შეწყალების თაობაზე, თავს მოვიკლავ და არ დავწერო. არც დამიძალებია, როგორ უნდა სთხოვო შეწყალება იმ არაკაცს, ვინც ისეთი სისტემა შექმნა, სადაც პატარა ბიჭებს უმნიშვნელო დანაშაულისთვის უშვებენ ციხეში?! ერთ ადგილზე აიკრას სააკაშვილმა შეწყალების აქტი, ისიც ვიცი, რომ ჩვენსავით ბევრი არ აპირებს, სააკაშვილს შეწყალების თხოვნით მიმართოს..."**

აი, ნასამართლეობის მოხსნის შემთხვევაში კი, საქმე სხვაგვარადაა: იმ 800 ათასი ადამიანის უმრავლესობა, რომელმაც სასჯელი მოიხადა, თავის დროზე ციხეში სრულიად უსამართლოდ მოხვდა, მაგრამ სამსახურში მოწყობისას ან სწავლის დაწყებისას, მოგეხსენებათ, დიდ ყურადღებას უთმობენ ადამიანის წარსულს, ამიტომცაა უსიამოვნო, საბუთებში ნასამართლეობა რომ გიწერია. მერე, რა, თუ დაუმსახურებლად ხარ ნასამართლევი, ან ვის უნდა უმტკიცო, ტყუილად დამიჭირესო? ამიტომ ნასამართლეობის მოხსნის სურვილი გაცილებით მეტმა ადამიანმა გამოთქვა, თუმცა რად გინდა — შეწყალება რომ მიიღო, პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ჯერ უნდა დარეკო და წინასწარ შეუთანხმდე, როდის მიიტან საბუთებს, შემდეგ კი დაელოდო, მოაწერს თუ არა ხელს პრეზიდენტი შეწყალების აქტს.

ისე, როგორც ირკვევა, ბევრი პირობითი მსჯავრდებული არ აპირებს, შესაწყალებელი თხოვნის დაწერას.

„პრეზიდენტმა, წასვლის წინ კიდევ ერთხელ დასცინა ხალხს, — ამბობს „ვერსიასთან" საუბრისას არასრულწლოვანი პირობით მსჯავრდებულის მამა, — თუკი შეწყალება უნდოდა, პირდაპირ გაეთავისუფლებინა ეს ხალხი, ყოველგვარი განცხადებისა და ადმინისტრაციაში სირბილის გარეშე. ჩემმა ოჯახმა გადაწყვიტა, არ მიმართოს პრეზიდენტს შეწყალების თხოვნით. ჩემი შვილი და მისი მეგობარი, 16 წლის ბიჭები დაიჭირეს, იცით, რის გამო? ბავშვები მეზობლის ბაღში გადავიდნენ ალუჩის მოსაპარად, საიდანაც ხელს გამოაყოლეს ჟანგიანი რკინის ნაჭრები, რომელიც ჯართში ჩააბარეს და აიღეს 7 ლარი. აი, ამ დანაშაულის გამო უჩივლა ბაღის პატრონმა და ბავშვებს მიუსაჯეს 2-2 ათასი ლარი გირაო და 4 წელი პირობითი მსჯავრი. კი ბატონო, დანაშაული ჩაიდინეს, აქლემის და ნემსის ქურდი, ორივე ქურდიაო, მაგრამ სასჯელი ხომ უნდა იყოს დანაშაულის ადეკვატური? ახალი ხელისუფლება რომ მოვიდა, გაგვიხარდა, რადგან გვეგონა, სამართლიანობა აღდგებოდა და ბავშვებსაც აღარ მოუწევდათ კვირაში ერთხელ გამოცხადება პრობაციის სამსახურში, მაგრამ მხოლოდ სასჯელის ვადა გაუნახევრეს. რა გამოვიდა? — ბაჩო ახალაია გაამართლეს, გუნავა ციხიდან გამოუშვეს, შვიდლარიანი ჯართისა და ალუჩის მომპარავმა 16 წლის ბიჭებმა კი ბოლომდე, „დო ზვანკა" უნდა მოიხადონ სასჯელი, რადგან საზოგადოებისთვის საფრთხეს წარმოადგენენ? ჰოდა, ამიტომ შვილმა მითხრა, განცხადების დაწერა რომ დამაძალო შეწყალების თაობაზე, თავს მოვიკლავ და არ დავწერო. არც დამიძალებია, როგორ უნდა სთხოვო შეწყალება იმ არაკაცს, ვინც ისეთი სისტემა შექმნა, სადაც პატარა ბიჭებს უმნიშვნელო დანაშაულისთვის უშვებენ ციხეში?! ერთ ადგილზე აიკრას სააკაშვილმა შეწყალების აქტი, ისიც ვიცი, რომ ჩვენსავით ბევრი არ აპირებს, სააკაშვილს შეწყალების თხოვნით მიმართოს..."

მოკლედ, ასეა: სააკაშვილის „გულმოწყალება" სასაცილოდ იქცა. მართალია, შეწყალების კომისიის წევრის, ელენე თევდორაძის თქმით, პრეზიდენტის ამ კონკრეტული ინიციატივით შესაწყალებელთა საქმე მას და მის კომისიას არ ეხება და ცალკე კომისიაა შექმნილი, მაგრამ ქალბატონი ელენე „ვერსიასთან" პრეზიდენტის მიერ შეწყალების დეტალებს განმარტავს: „განცხადების შეტანის შემდეგ, მსჯავრდებულის თუ ყოფილი პატიმრის საბუთები გადაეგზავნება შსს-ს, საიდანაც უნდა მივიდეს შესაბამისი დასკვნა. ეს კი მარტივი პროცედურა არაა და გარკვეულ დროს მოითხოვს".

**ვერსიანიუსი**

## აღმოსავლეთში ყველაზე დიდი მეჩეთის, ქოჯატეპეს იმამმა სპეციალურად ირაკლი ღარიბაშვილისთვის ილოცა



თურქეთში ვიზიტის ფარგლებში, შს მინისტრი ახლო აღმოსავლეთში ყველაზე დიდი მეჩეთს — ქოჯატეპეს მეჩეთს ეწვია. მეჩეთში ირაკლი ღარიბაშვილს იმამი შეხვდა. იმამმა სპეციალურად შინაგან საქმეთა მინისტრისთვის ლოცვა აღავლინა. იმამმა მინისტრს საპატიო სტუმრის სტატუსით მეჩეთი დაათვალიერებინა და მინარეთზე აიყვანა.

ამასთან, მინისტრმა თურქეთის კრიმინალური პოლიციის ლაბორატორია დაათვალიერა და მისი მუშაობის სპეციფიკას გაეცნო. ირაკლი ღარიბაშვილი, ასევე, თურქეთის სპეციალურ ოპერატიულ დეპარტამენტს ეწვია და საჩვენებელ წვრთნებს დაესწრო. ამის შემდეგ, შს მინისტრი თურქეთის ეროვნული პოლიციის კინოლოგიის ცენტრს ესტუმრა.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ვიზიტის ფარგლებში გაიმართა შეხვედრები თურქეთის რესპუბლიკის შს მინისტრ მუამერ გიულერთან და თურქეთის ეროვნული პოლიციის გენერალურ დირექტორ მეჰმეტ კილიჩლართან. ირაკლი ღარიბაშვილი, ასევე, ეწვია თურქეთის ეროვნული პოლიციის აკადემიას და გაეცნო მის სასწავლო პროცესს.

***„ვერსიანიუსი"***

# საყოველთაო ჯანდაცვის მწარე რეალობა — ექიმები პაციენტებს დასცინიან?!

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

**საქართველოს რეგიონებში საყოველთაო ჯანდაცვის მეორე ეტაპის მონიტორინგი გრძელდება. ჯანდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, დიმიტრი ხანთაძე და სოციალური მომსახურების სააგენტოს ხელმძღვანელი ნოე ქინქლაძე ქვემო ქართლს ესტუმრნენ. შეხვედრას, რომელიც მარნეულის კულტურის სახლში გაიმართა, ქვემო ქართლის კლინიკების წარმომადგენლები, პირველადი ჯანდაცვისა და სოფლის ექიმები ესწრებოდნენ. ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებმა მედპერსონალის შეკითხვებს უპასუხეს და ადგილობრივ პრობლემებს გაეცნენ. როგორც სამინისტროში აცხადებენ, მსგავსი სახის შეხვედრები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში რეგულარულად ტარდება... როგორ მუშაობს საყოველთაო დაზღვევის პროგრამა თბილისში? — „ვერსიას“ ერთ-ერთი პაციენტი, ბატონი გიორგი ესაუბრება, რომლის გვარის დასახელებისგან თავს ვიკავებთ.**



— ბოლო დროს მუცლის არეში ტკივილებს ვუჩივი და პირველად გადავწყვიტე დაზღვევის პოლისის გამოყენება. გაგონილი მქონდა, რომ ექოსკოპია უფასოდ მეკუთვნოდა. მივედი ქავთარაძის ქუჩაზე მდებარე ყოფილ „ლეჩკომბინატ-ში“, კლინიკა „დეკა“-ში. აღმოჩნდა, რომ გამოკვლევა უფასო სულაც არ ყოფილა და 12 ლარის თანაგადახდა მომიწია. საინტერესოა, მთავრობა ამ მომსახურებას სრულად თუ არ აფინანსებს, სხვა რა შეღავათებია?

გავიარე რეგისტრაცია და, წესის მიხედვით, ერთ-ერთ ოჯახის ექიმთან გამიშვეს, რათა მას კონკრეტულ გამოკვლევაზე გადავემისამართებინე. მეორე სართულზე, ექიმის კაბინეტთან დაახლოებით, თხუთმეტკაციანი ცოცხალი რიგი დამხვდა. დავიკავე რიგი და ვიკითხე, ექიმი სად არის-მეთქი. პირველი საათისთვის კაბინეტი სასწრაფოდ დატოვა, გამოძახებაზე მივდივარ და მალე დავბრუნდებიო. კი მაგრამ, ამდენი ხალხი ველოდებით, შემცვლელი რატომ არ ჰყავს-მეთქი. ზაფხულში ექიმები შვებულებაში არიან და მორიგეებს მუშაობა მარტო უწევთო. რა გაეწყობოდა, უჰაერო დერეფანში ლოდინი დავიწყე.

დაპირებული, „მაქსიმუმ ნახევარი საათის“ ნაცვლად, ერთი საათი გავიდა, სანატრელი ესკულაპი კი არ ჩანდა. ცოცხალ რიგს კიდევ ათამდე ადამიანი შეემატა, მომლოდინეთა მოთმინების ფიალა ნელ-ნელა აივსო და ჯერ ჩოჩქოლი, მერე ლანძღვა-გინება ატყდა. როგორღაც, რეგისტრატურაში ექიმის ტელეფონის ნომერი გამოვჩხრიკეთ და დავურეკეთ, ვაიმე, რთულ გამოძახებაზე ვიყავი და, მაქსიმუმ, ოც წუთში თქვენს განკარგულებაში ვიქნებიო. ამან წყობიდან გამოსული პაციენტები ცოტა დააშოშმინა...

გავიდა კიდევ ნახევარი საათი და თეთრხალათიანი არ გამოჩნდა. ყველამ ცალ-ცალკე დაიწყო რეკვა, მაგრამ ტელეფონზე აღარ გვპასუხობდა.. ბოლოს, როგორც იქნა, გამოჩნდა, ბოდიშიც არ მოუხდია, შევიდა კაბინეტში, რაღაც ფურცლები გამოიტანა და სასწრაფოდ რეცეპტები უნდა გამოვწეროო, ამასაც მოვრჩები და მოგემსახურებითო, გვითხრა და კაბინეტებში სირბილი დაიწყო, რამაც საათობით მომლოდინე ადამიანები წყობიდან საბოლოოდ გამოიყვანა. ერთ-ერთმა ველარ მოითმინა, მივიდა ექიმთან და ეკითხება, წნევა მაქვს და აქეთ-იქეთ რას დადიხარო.

— თუ წნევა გაქვს, ამისთვის სასწრაფო დახმარება არსებობს! — არც აცია, არც აცხელა ამ „ხორცის“ მკურნალმა არსებამ. გადაირია პაციენტი, რანაირად მელაპარაკებიო. წარბიც არ შეუხრია, პირიქით, ჯოკონდას ამოუცნობი ღიმილი დასთამაშებდა სახეზე ამ ექიმადწოდებულს.

პაციენტები კაბინეტის წინ გიჟებივით დავბორიალებდით და ხმის ამოღების თავიც აღარ გვქონდა. ბოლოს, იმ კაბინეტში მივაკითხეთ, სადაც გაუჩინარდა.

— რა ვქნა, ჩემი საქმე მაქვს, თქვენი მომსახურების გარდა, გამოძახებებზეც დავდივარ და მძიმე პაციენტებსაც ვემსახურები.

კაბინეტში ცოტა ხმამაღალი საუბარი მოგვივიდა და იქ მყოფმა კოლეგებმა მხარი ჩვენს „დაკარგულ“ ექიმს დაუჭირეს, შენი საქმე გააკეთე და ამათ ყურადღებას ნუ მიაქცევო.

— ჰო, ცოტა ხომ უნდა გავერთოო, — ჩაილაპარაკა „დაკარგულმა“ ექიმმა.

ორსაათნახევრიანი ლოდინის შემდეგ, მოაღწია თავის კაბინეტამდე. ბოდიში მაინც არ მოუხდია. კონსულტაცია გავიარეთ, მაგრამ ვაი, ასეთ მომსახურებას!..

ისე, ამ საცოდავი ექიმის მიმართ პრეტენზია ყველაზე ნაკლებად მაქვს — ის უსულო რობოტადაა ქცეული... როგორ შეიძლება, ათეულობით ადამიანს კაბინეტში ერთი ექიმი ემსახურებოდეს? არსებული მდგომარეობა კრიტიკას ვერ უძლებს და ასეთი ავადმყოფური რეალობა ჯანდაცვის უწყების მესვეურებმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ.

**P.S. „ვერსია“ შეგნებულად არც პაციენტის და არც მორიგე ექიმის ვინაობას არ ასახელებს, რადგან ორივე, ალბათ, ერთნაირად მსხვერპლია. იმედია, ამ წერილს წაიკითხავენ და გამგები გაიგებს, თუ რა სავალალო ვითარებაა ერთ კონკრეტულ სადაზღვევო კლინიკაში. იმედია, ეს ხარვეზები დროულად გამოსწორდება და პაციენტები იმ მინიმალურ მომსახურებას მაინც მიიღებენ, რაც სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამითაა გათვალისწინებული.**



# სოჭის ოლიმპიადაზე დასასწრებად „გულშემატკივრის პასპორტი“ გაიცემა

**რუსეთის სხვა მოზარდებისაგან განსხვავებით, ქალაქ სოჭში ბავშვები სკოლის მერხებს 26 აგვისტოს მიუსხდნენ. კრასნოდარის მხარის განათლების სამინისტრო ამ გადაწყვეტილებას დამატებით არდადეგებს უკავშირებს, რომელიც ოლიმპიური თამაშების გამო, თებერვალსა და მარტში უნდა გამოცხადდეს.**



ბოლო დღეებში ქალაქ სოჭის მოსახლეობას ინტენსიურად აცნობენ ცხოვრების სხვა რეგლამენტირებულ წესებსაც, რომელიც რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ბრძანებულებით უკვე დადგენილია.

სოჭისა და მიმდებარე დასახლებების მაცხოვრებლები არ მალავენ, რომ ოლიმპიადამ მათ უამრავი პრობლემა შეუქმნა, თუმცა დადგენილი შეზღუდვების გაცნობას განსაკუთრებული პანიკა არ გამოუწვევია, რადგან ყველამ იცოდა, რომ ეს გარდაუვალი იყო.

ამ პერიოდისთვის ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად ადგილობრივი ხელმძღვანელები ქალაქის ტრანსპორტით გადატვირთვას მიიჩნევენ. ეს საკითხი აქტიურად შუქდება რუსული მედიითაც. რუსეთის ქალაქებს შორის სოჭი ტრანსპორტით ყველაზე გადატვირთულად მიიჩნევა. სოჭის მერი უშედეგოდ მოუწოდებს მოსახლეობას, „შეიცვალონ მენტალობა“ და, ძირითადად, ისარგებლონ საზოგადოებრივი ტრანსპორტით, თუმცა, როგორც ადგილობრივ მოსახლეობას უცხადებენ, 2014 წლის თებერვალსა და მარტში მათ სრულიად აეკრძალებათ საკუთარი ტრანსპორტით გადაადგილება.

ჩინოვნიკები განსაკუთრებულ საგონებელში აფხაზური ნომრებით მოსარგებლე ტრანსპორტმა ჩააგდო. რუსული მედიის ინფორმაციით, ოლქის მაცხოვრებლები და ის უამრავი ადამიანი, რომელიც სამუშაოდ სოჭში ჩადის, აფხაზური ნომრებით სარგებლობას ამჯობინებს, რადგან ტრანსპორტის რეგისტრაცია აფხაზეთში ბევრად იაფი ჯდება, ვიდრე რუსეთში. ერთადერთი პრობლემა კი, რაც ასეთ შემთხვევაში მანქანის პატრონს უჩნდება, ისაა, რომ კანონი ორ თვეში ერთხელ რუსეთ-აფხაზეთის საზღვრის გადაკვეთას ავალდებულებს.

როდესაც ტრანსპორტის გადაადგილების შეზღუდვის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება ძალაში სრულად შევა, უამრავი მანქანა სოჭში უკანონოდ აღმოჩნდება, რადგან აფხაზეთის ტერიტორიაზე ტრანსპორტის დიდი ხნით უყურადღებოდ მიტოვების შემთხვევაში, მათი პოვნა არცთუ იოლია.

ოლიმპიური წესების თანახმად, ქალაქი 2 თვის განმავლობაში ჩაიკეტება სპეციალური საშვის გარეშე მოძრავი ყველა სახის ტრანსპორტისთვის, გარდა სარკინიგზო, ექსტრემალური სიტუაციების სამსახურის, სოჭში რეგისტრირებული და სპეციალურად აკრედიტებული ტრანსპორტისთვის.

ოლიმპიადის უსაფრთხოდ ჩატარებისთვის მიღებული განსაკუთრებული ზომები სრულიად აკრძალული ზონების გამოყოფასაც გულისხმობს, თუმცა ეს ზონები სანაპირო ტერიტორიებისგან მოშორებით, ყარაჩაი-ჩერქეზეთის სასაზღვრო ტერიტორიებს მოიცავს. ოლიმპიური ობიექტების აკრძალული ზონების მიმდებარე ტერიტორიაზე გადაადგილების უფლება მხოლოდ სპეციალური სამსახურის თანამშრომლებს ექნებათ.

მართალია, მიმდინარე წლის საკურორტო სეზონის ჩავარდნას კრასნოდარის მხარის ტუროპერატორები ერთხმად აღიარებენ, თუმცა აცხადებენ, რომ ტურისტების ნაკლებობას არ განიცდიან. საკურორტო სეზონის ჩავარდნის მიზეზად სამშენებლო ბუმი სახელდება, თუმცა მათი ინფორმაციით, სოჭში ტურისტების მეტი წილი არა საზღვაო სეზონის გამო, არამედ იმის სანახავად ჩადის, თუ როგორ მიმდინარეობს მზადება ზამთრის ოლიმპიადისთვის.

რაც შეეხება ზამთრის ოლიმპიური თამაშების გულშემატკივრების კონტროლს, ამისთვის თამაშებზე დასასწრები ბილეთების შეძენასთან ერთად, იგეგმება მათთვის „გულშემატკივრის პასპორტის“ გაცემა.

კრასნოდარის მხარეში მიიჩნევენ, რომ ყველაფერს გააკეთებენ, რათა ჩეჩენ პარტიზანთა ლიდერმა დოკუ უმაროვმა ვერ განახორციელოს მუქარა ოლიმპიადის ჩაშლასთან დაკავშირებით — უმაროვმა მოჯაჰედებს მოუწოდა, რუსეთის მიერ მოკლული კავკასიელების ძვლებზე დაგეგმილი ზამთრის ოლიმპიადის ჩატარება არ დაუშვან.

განსაკუთრებული წესები სოჭში 7 იანვრიდან 21 მარტამდე იმოქმედებს.

უკვე ცნობილია, რომ 2014 წლის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობას ქართველი სპორტსმენები და გულშემატკივრებიც გეგმავენ.

*„ფორ.გე“*

# ოთხკუთხედი ბურგერები, „ტრუჩილოს“ ყავა... — „ვისოლ ჯგუფი“ „ვენდის“ ამერიკულ რესტორანს ხსნის

**მულტინაციონალური კომპანია „ვენდი“, საქართველოში, „ვისოლ ჯგუფთან“ ერთად, ამერიკული რესტორნების ქსელის განვითარებას იწყებს. 12 სექტემბერს, „ვენდის“ პირველი რესტორანი თბილისში, რუსთაველის გამზირზე გაიხსნება. „ვენდის“ ამერიკული რესტორანი თბილისში, 1 000 კვადრატულ მეტრ ფართობზე, ორ სართულზე განთავსდება, რომელსაც ბავშვთა გასართობი და სადღესასწაულო ცენტრი, სათამაშო ზონა და კეფე დაემატება. „ვისოლ ჯგუფის“ ინიციატივით, „ვენდის“ ამერიკულ რესტორანს საქართველოში კაფეც დაემატა, სადაც მომხმარებლებს მსოფლიოში ცნობილი იტალური ბრენდის — „ტრუჩილოს“ ყავის ასორტს შესთავაზებენ. უმაღლესი ხარისხის ყავისა და დესერტის შესათავაზებლად, „ვენდის“ პერსონალს პროფესიონალური ტრენინგი „ტრუჩილოს“ საერთაშორისო ექსპერტმა, სტავროს ლამპრინდისმა ჩაუტარა.**



რუსთაველზე მდებარე რესტორანში 80 ადამიანი დასაქმდება

„ვისოლ ჯგუფის“ პრეზიდენტმა, სოსო ფხაკაძემ მედიის წარმომადგენლებს „ვენდის“ ამერიკული რესტორანი დაათვალიერებინა, რომელიც 12 სექტემბერს გაიხსნება. პირველ სართულზე კაფე და სწრაფი კვების ობიექტი განთავსდება, სადაც მსოფლიოში ერთადერთი, ოთხკუთხედი ფორმის ჰამბურგერები გაიყიდება, ოთხკუთხედი ჰამბურგერი „ვენდის“ ექსკლუზივია, შესაბამისად, დიზაინში სწორედ ეს დეტალი გაითვალისწინეს და კაფეში, დიდი ოთხკუთხედი ფორმის კუთხეც დაამატეს.

მეორე სართულზე, „ვენდის“ ამერიკულ რესტორანში, ბავშვთა გასართობი და სადღესასწაულო ცენტრი, ასევე სათამაშო ზონა და კიდევ ერთი კაფე განთავსდება, სადაც მსოფლიოში ცნობილი ბრენდის „ტრუჩილოს“ ყავას დააგემოვნებთ. სათამაშო ზონისთვის უახლესი აპარატები ლონდონიდან და ამერიკიდან ჩამოიტანეს. სოსო ფხაკაძემ აღნიშნა, რომ „ვენდის“ ამერიკულ რესტორანში ჟეტონები არ გაიყიდება, რადგან ის, ვინც რაიმე სახის პროდუქტს შეიძენს ან მენიუს შეუკვეთავს, საჩუქრად ჟეტონებს მიიღებს, რომელსაც მეორე სართულზე განთავსებულ სათამაშო ზონაში გამოიყენებს:

**„საქართველოს დინამიურად მზარდ ბაზარზე შემოსვლა „ვენდის“ აღმოსავლეთ ევროპაში განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიის ნაწილია. ვამაყობთ, რომ ამ ბრენდის განვითარება ექსკლუზიურად „ვისოლ ჯგუფს“ ხვდა წილად როგორც საქართველოში, ასევე — აზერბაიჯანში. „ვენდისთვის“ ისევე, როგორ „ვისოლ ჯგუფისთვის“, პროდუქციისა და მომსახურების ხარისხი უმთავრესი პრიორიტეტია. გვჯერა, რომ „ვენდის“ უგემრიელესი საფირმო კერძები — საქონლისა და ქათმის ხორცის ბურგერები, „ჩილი“, ბოსტნეულის სალათები, გამომცხვარი კარტოფილი, რაც შეკვეთის მიღებისთანავე მზადდება, ყველაზე პრეტენზიულ და მომთხოვნ მომხმარებლებსაც კი მოხიბლავს. რაც შეეხება „ვენდის“ კაფეს, ვფიქრობ, ეს გამორჩეული ადგილი იქნება თბილისში, სადაც პრემიუმ კლასის უგემრიელესი ყავისა და დესერტების დაგემოვნებას შეძლებთ“.**

სოსო ფხაკაძის თქმით, „ვენდის“ პერსონალმა თვეების მანძილზე გაიარა პროფესიული ტრენინგი, როგორც ამერიკაში, ასევე — საქართველოში. „ვენდის“ რესტორნის დიზაინზე კი „ვისოლ ჯგუფი“ საკმაოდ დიდ ხანს მუშაობდა. ესაა მიზეზი, რის გამოც ამერიკული რესტორნის გახსნა რამდენიმე თვით გადაიდო. საბოლოოდ კი, საკმაოდ დახვეწილი, ლამაზი და თანამედროვე დიზაინი შეარჩიეს, რომელზეც 7 თვის განმავლობაში იმუშავეს, რესტორნის მეორე სართულის კაფედან კი თბილისის ულამაზესი ხედი იშლება. რუსთაველის გამზირზე მდებარე „ვენდის“ რესტორნის ინტერიერი ცნობილმა ამერიკულმა დიზაინერულმა კომპანიამ შექმნა.

იტალიური „ტრუჩილოს“ ექსპერტი სტავროს ლამპრინდისი, ბარისტთა (ყავის მომზადების სპეციალისტი) 12 საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებული და ლაურეატია. მისი დახმარებით, „ვენდის“ კაფე ერთგულ მომხმარებლებს 15 სახეობის უგემრიელეს ყავას შესთავაზებს, მათ შორის, „ესპრესოს“, „ესპრესო მაკიატოს“, „ამერიკანოს“, „კაპუჩინოს“, „ლატეს“, „ფროსტინოს“, „კარამელ მაკიატოს“, „მოკას“. „ვისოლ ჯგუფი“ „ვენდის“ ამერიკულ რესტორნებს საქართველოსა და აზერბაიჯანში მომავალშიც გახსნის. „ვენდის“ პირველ რესტორანში კი 80-მდე ადამიანი დასაქმდება.

*მაია მიშელაძე*




# New York Times: საქართველოს ხელისუფლებისადმი მხარდაჭერა იკლებს

**„არჩევანი სამხრეთ კავკასიისთვის“,** — ამ სათაურით აქვეყნებს ამერიკული გამოცემა New York Times სტატიას რუსეთსა და მის კავკასიელ მეზობლებზე. როგორც სტატიაშია ნათქვამი, რუსეთ-საქართველოს ომიდან ხუთი წლის შემდეგ, სომხეთი, აზერბაიჯანი და საქართველო კვლავ უდიდეს გამოწვევებს უპირისპირდებიან.

**„სამივე სახელმწიფო ასევე დგას უსაფრთხოების რისკების, პასუხგაუცემელი მოლოდინისა და მათი ხელისუფლების ჩავარდნების წინაშე. ასე რომ, სამხრეთ კავკასიამ სწორედ ახლა უნდა გააკეთოს არჩევანი**“, - აღნიშნავენ სტატიის ავტორები.

როგორც სტატიაშია ნათქვამი, საქართველოს ორი დამოუკიდებელი ანკლავი – აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი — ისევე, როგორც მომიჯნავე ტერიტორიები, რუსეთის სამხედროების მიერაა ოკუპირებული.

**„რუსეთი აიძულებს თავის მეზობლებს ევრაზიის ეკონომიკურ თანამეგობრობაში გაწევრიანებას. მოსკოვი ღელავს და საფუძვლიანად, რომ სამხრეთ კავკასიის ქვეყნები ევროკავშირში გაწევრიანებას ამჯობინებენ“,** — ნათქვამია სტატიაში.

როგორც სტატიის ავტორები აღნიშნავენ, სამივე ქვეყანას მნიშვნელოვანი შიდაპოლიტიკური საკითხებიც აქვს მოსაგვარებელი, რომელიც ამ წლის საპრეზიდენტო არჩევნებს უკავშირდება.

**„გასულ წელს, არჩევნების შედეგად, საქართველოში პირველად მოხდა ხელისუფლების მშვიდობიანი გზით გადაბარება. საპარლამენტო არჩევნებში ოპოზიციურმა კოლალიციამ, მილიარდერ ბიძინა ივანიშვილის ლიდერობით, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის პარტია დაამარცხა. ახალმა ხელისუფლებამ, საზოგადოების მოთხოვნის მოტივით, წინა ხელისუფლების მაღალჩინოსნები თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტების ბრალდებით დააპატიმრა, რამაც ქვეყანაში შერჩევითი სამართლის გამოყენებაზე ეჭვები წარმოშვა. ხელისუფლების მხარდაჭერა იკლებს, რამდენადაც ეკონომიკური მდგომარეობა ვერ უმჯობესდება“,** — ნათქვამია სტატიაში.

ავტორები ასევე აღნიშნავენ, რომ ივანიშვილმა, რომელიც ინარჩუნებს საქართველოს დასავლურ ორიენტაციას, რუსეთთან დაძაბულობა შეამცირა.

**„მოსკოვმა თავის ბაზარზე დაუშვა მანამდე აკრძალული ქართული ღვინო, სოფლის მეურნეობის პროდუქცია და მინერალური წყალი, მაგრამ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის თაობაზე აზრთა ღრმა სხვადასხვაობა რჩება. საქართველომ ფოკუსირება უნდა მოახდინოს დემოკრატიაზე, ქვეყნის ეკონომიკის გაუმჯობესებასა და სამხედრო თავდაცვის შენებაზე“,** — აღნიშნავენ სტატიის ავტორები.

„ნიუ იორკ თაიმსში“ გამოქვეყნებულ სტატიაში ასევე ნათქვამია, რომ სამივე ქვეყანა — აზერბაიჯანი, სომხეთი და საქართველო — ევროკავშირში გაწევრიანების გადამწყვეტ ფაზაში იმყოფება და ნოემბერში, სავარაუდოდ, ევროკავშირი ხელს მოაწერს სომხეთთან და საქართველოსთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებასა და სხვა საკითხებს.

სტატიის ავტორები ასევე აღნიშნავენ, რომ ევროკავშირთან მჭიდრო ურთიერთობა ძლევამოსილ მეზობლებთან ურთიერთობაში თავისუფლად მანევრირების მეტ შესაძლებლობას მოიტანს და ამავე ქვეყნების დამოუკიდებლობის მხარდაჭერა დასავლეთის მხრიდან უმნიშვნელოვანესია.


OP-ED CONTRIBUTORS

Choices for the South Caucasus

Sergey Ponomarev/Associated Press

Russian soldiers cleaning their rifles at their base in Tskhinvali, capital of South Ossetia, a breakaway enclave in Georgia.

